ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **24-2422304241**
თარიღი: **31/10/2022**

**ადრესატი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს**
**ბატონ გიგა ფარულავას**

**ბატონო გიგა,**

გეგზავნებათ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

დანართი: 65 გვერდი.

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90. ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03,
ელ.ფოსტა: info@zugdidi.gov.ge

# ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2022 წელი

ქ. ზუგდიდი

# შესავალი

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.

- **ანგარიშის სტრუქტურა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. სწორედ ეს აღნიშნული სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;
- ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებას;

## ❖ *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები*

- **საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური**

მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული საწყისი ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 47200 ათასი ლარით. შემდგომ პერიოდში წინა წლის ბიუჯეტიდან 2022 საფინანსო წელში გარდამავალი ნაშთების, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემული სახსრების, ფინანსთა სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის, აგრეთვე, 2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების (დღგ, ქონების გადასახადი) გეგმა-პროგნოზის 3022 ათასი ლარით გადიდების და სხვა ფაქტორების გავლენის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისთვის შეადგინა 64496 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობამ 52648 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (9 თვე) ადგილობრივი ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები შეადგენს 44711,6 ათას ლარს, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 75,6%-ია, ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობამ კი შეადგინა 44347 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის თითქმის 79%-ს აღწევს. აქედან გადასახადების გეგმა-პროგნოზის შესრულების თანხობრივი მაჩვენებელია 31983 ათასი ლარი, რაც წლიური მოცულობის მიმართ 77,7%-ია. განვლილი 9 თვეში ბიუჯეტმა მიიღო გრანტები (მიზნობრივი, სპეციალური, კაპიტალური ტრანსფერები) თანხობრივად 7802 ათასი ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის 83,3%-ია. ბიუჯეტის ,სხვა შემოსავლების“ შესრულებამ შეადგინა 4561 ათასი ლარი, რაც წლიურო საპროგნოზო მაჩვენებლის 81,1 პროცენტი, ხოლო 9 თვის მაჩვენებლის 112,3 პროცენტია.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს მიმდინარე წლის 9 თვეს, ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანმა მოცულობამ თანხობრივად შეადგინა 50970 ათასი ლარი, რომელიც მიზნობრივად ხმარდებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, საბიუჯეტო სფეროების და დარგების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კი გადასახდელების მოცულობამ შეადგინა 39912 ათასი ლარი, აღნიშნული თანხიდან 7407 ათასი ლარი მიიმართა როგორც ინფრასტრუქტურული სფეროების, ისე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე.

დასუფთავების და გარემოს დაცვის პროგრამას მოხმარდა 5636 ათასი ლარი, მათ შორის ქალაქ ზუგდიდისა ადა სასოფლო ზონის 53 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიებებს 4341 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძებების დაფინანსებაზე , რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, გაიხარჯა 2341 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა სოციალური და ჯანდაცვის სფეროს 14 და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის .

განათლების სფეროს  დაფინანსებისათვის გამოიყო 6223 ათასი ლარი, აქედან აღნიშნული სფეროს ასიგნებათა ძირითადი ნაწილი ანუ 5375 ათასი ლარი მიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის  პროგრამის დაფინანსებაზე.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტის სფეროების საბიუჯეტო ასიგნებამ შეადგინა 3381 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ხელოვნებისა და კულტურული ღონისძიებების, საბიბლიოთეკო დარგის, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის, რელიგიის ხელშეწყობის დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით (საკრებულო) და აღმასრულებელი  (მერია) ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საანგარიშო პერიოდში (9 თვე) ჯამობრივად გამოიყო 6893 ათასი ლარი, ქედან 1162 ათასი ლარი მოხმარდა საკრებულოს, ხოლო 5730 ათასი ლარი მერიის ფუნქციონირების უზრუნველყოფას

მიმდინარე საფინანსო წლის 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 6886 ათასი ლარის ოდენობით, მიიმართა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 27 მსხვილი, და საშუალო ინფრასტრუქტურული პროექტი, ხოლო მიმდინარეობის 52 ობიექტის დასრულების  სამუშოები, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 8845,3 ათასი ლარს. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.
ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან ხორციელდება „სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა“, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შემადგენელ ფინანსურ სეგმენტს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესის კოორდინაციის მიზნით, საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი. საბჭო ექვემდებარება და მის საქმიანობას წარმართავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში 2022 წელს გათვალისსიწნებულია საბიუჯეტო ასიგნება 854.7 ათასი ლარის ოდენობით. უკვე განხორციელებულია 7 პროექტი, როგორიცაა: ლაზის ქუჩის გამწვანება; მოსაშვილის, სოხუმის, მშვიდობის, სააკაძისა და გოგოლის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მშენებლობა; ხერგიანის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა.

მიმდინარეობს 3 პროექტთან დაკავშირებით სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს კეკელიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობას; ეგ. ფიფიას ქუჩაზე და ჯავახიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-მოწყობას.

დაწყებულია და მიმდინარეობს 3 საპროექტო ინიციატივის ტექნიკური დოკუმენტაციის (პროექტი, ხარჯთაღრიცხვა) მომზადება, რომელიც ეხება თაბუკაშვილის მე-4 შესახვევში არსებული საბავშვო მოედნის რეაბილიტაციას; ჯორჯიაშვილის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონის მოწყობას; პავლე ინგოროყვასა და ლაზის ქუჩების კვეთასთან სპორტულ-გასართობი მოედნის მოწყობას.

გამოცხადებულია ტენდერი მოქალაქეთა მიერ შემოტანილი 7 ინიციატივის სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს სოხუმისა და პუშკინის ქუჩების კვეთაზე  სკვერის კეთილმოწყობას; რუსთაველის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციას; ჯანაშიას ქუჩა №12-ში მდებარე ეზოში ეთნოკულტურული დასასვენებელი პარკის მოწყობას; თამარ მეფისა და გორგასლის ქუჩების კვეთასთან სკვერისა და პარკირების ზოლის მოწყობას; ბესარიონ ჯანაშიას ქ. №10ა-სა და №10-ში მდებარე ეზოების კეთილმოწყობას და ბარამიას ქუჩა №7-ში მდებარე №5 კორპუსთან სატრენაჟორო სავარჯიშოების კომპლექსის მოწყობას.

*სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მონაცემები და სტატისტიკური მაჩვენებლები*

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 15 443, 1 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვებით ხელშეკრულებები დაიდო 12 948, 8 ათას ლარზე, ხოლო გამარტივებული შესყიდვებით 1 409, 8 ათასი ლარის ოდენობის თანხაზე. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 1 084,3 ათასი ლარის შესყიდვა. სულ მომზადდა 238 ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გააფორმა მიმწოდებლებთან, აქედან 65 ხელშეკრულება დაიდო საქონლის შესყიდვაზე. სხვადასხვა სახის მომსახურებაზე 67, სამშენებლო სამუშაოებზე 89, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციის მომსახურებაზე 17 ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 100 ტენდერი, რომლის ჯამური სავარაუდო ღირებულებაა 13 808, ათასი ლარი. შედეგად გაფორმდა 12 948, 8 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, აქედან 204,8 ათასი ლარი საქონლის, ხოლო 720,2 ლარი სხვადასხვა სახის მომსახურების შესყიდვაზე. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 199, 2 ათას ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების ჯამი შეადგენს 11 824, 5 ათას ლარს.

გამარტივებული შესყიდვით დაიდო 108 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 1 409, 8 ათასი ლარი. საიდანაც საქონლის შესყიდვაზე დაიდო 22 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 44, 8 ათასი ლარი, ხოლო მომსახურების შესყიდვაზე დაიდო 33 ხელშეკრულება, მისმა ღირებულებამ შეადგინა 542,4 ათასი ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე დაიდო 2 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 52, 0 ათასი ლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე დაიდო 51 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 770, 5 ათასი ლარი. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მომზადდა 30 ხელშეკრულების პროექტი და განხორციელდა 1084,3 ათასი ლარის შესყიდვა.

## ➢ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

- **ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური**

2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოიყო 134 376 088,93 ლარი.

***<u>რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები</u>***

2022 წლის 17 იანვარს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის N75 (2022 წლის 24 აგვისტოს N1534 ცვლილება) განკარგულებებით გამოყოფილ იქნა 6 789 624 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისათვის გამოიყო 2 007 311 ათასი ლარი. ჯამში განსახორციელებელი პროექტების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8 796 935 ლარი.

აღნიშნული თანხით განხორციელდა, დაგეგმილია ან მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. **გზების რეაბილიტაცია - 6 955 816 ლარი: (2023 წელს მრავალწლიანი პროექტების ასანაზღაურებლად საჭიროა 6 406 031 ლარი)**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გუგუჩიას ქუჩაზე (საგუგუჩიოს უბანი) გზის (III ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 314 995,35 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკუტალიო-სამოლაშხიოს უბნის გზის სარეაბილიტაციო (II ეტაპი) სამუშაოები. 290 124,69 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკალანდიოს უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების (II ეტაპი) შესყიდვა. 750 466 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერგეტას ადმინისტრაციულ ერთეულში, ერგეტას ცენტრიდან ბუის გავლით დიდგვიმარას უბნამდე გზის საფარის (II ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 891 864,95 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 400 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი ღირებულება 999 997,57 ლარი);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამაქაცარიოს უბანში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 300 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი ღირებულება 1 257 794,63 ლარი);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია. 400 000 ლარი (სამუშაოები

დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 1 384 947,25 ლარი);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია (IV ეტაპი). 400 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 978 597,97 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩების გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 500 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 978 979,67 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 300 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 1 015 394,19 ლარი);
- ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში ქიაჩელის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია (შარშან დაწყებული გზის გაგრძელება). 300 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 1 012 237,23 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 350 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 999 995,21 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის, ც. დადიანის და კ. გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია. 270 793 (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2022-2023, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 998 879,99 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მოგირის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდა. 444 834,83 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოირემეს და დავითიანის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 487 573 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის, ც. დადიანის და კ. გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 770 996 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია).

2. **მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა - 1 088 691 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, 23-ე ქუჩის N95 კორპუსის N1 და N2 ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 273 469 ლარი (ტენერი გამოცხადებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქ. N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 91 241 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის ქ. N16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 133 218 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სანკტ-პეტერბურგის ქ. N25, ქუჯის ქ. N12, ბუკიას ქ. N30 და N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის (I ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა. 361 582 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქ. N1-ში და N3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 229 181 ლარი (იგეგმება ტენდერის ხელახლა გამოცხადება);

3. **წყალმომარაგება - 879 236 ლარი;**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის (II ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა. 583 780,68 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 979 969,58 ლარი);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, პაპავების უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების (III ეტაპი) შესყიდვა. 171 999,67 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკანკიოს უბანში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (II ეტაპი) შესყიდვა. 123 456 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
4. **დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სკოლების რეაბილიტაცია - 76 096 ლარი:**

   2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკაგულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ გამოეყო 76 096 ლარი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად:
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კახათის N2 საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 5 806,5 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯუმის საჯარო სკოლის I სართულის დერეფნის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 28 889 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოდიშის N2 საჯარო სკოლის დარბაზის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 41 400,5 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

5. **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის N909 განკარგულებით გამოეყო თანხა 368 771 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან 124 107 ლარის თანადაფინანსება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ჯამში 492 877.38 ლარი:**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საშენგელიოს უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 251 275.46 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლომონოსოვის და გრიბოედოვის ქუჩებზე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 241 641 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 1 500 000 ლარი.**

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკაგულებაში 2022 წლის 19 აგვისტოს N1498 ცვლილებით სტიქიის შედეგების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 500 00 ლარი:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაბუოს უბანში, სასაფლაომდე მისასვლელი დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 331 800 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 515 743 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ჯუმზე არსებული საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 876 303 ლარი (იგეგმება ტენდერის ხელახლა გამოცხადება, პროექტის შესყიდვა დაგეგმილია მრავალწლიანი შესყიდვის გზით 2022-2023 წლები, მიმდინარე წელს 402 980 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტაბიძის ქუჩაზე გზის დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 249 477 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

*დამატებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია 20 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების (NAT220017057) მომზადებაც მიმდინარეობს ამ ეტაპისათვის. 24 პროექტის სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრება დაახლოებით 4 200 000 ლარით:*

***სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1 323 957 ლარი.***

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 48 ადმინისტრაციულ ერთეულს ჯამში გამოეყო 948 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოიყოფა 375 957 ლარი. ამ ეტაპზე განხორციელებულია 13 პროექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 22 პროექტზე, წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 38 პროექტის განხორციელება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - 75 579 455.04 ლარი**

- ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N5-ში არსებული საფეხბურთო სტადიონის დასრულებისა და ახალი, ხელოვნურსაფარიანი, სათადარიგო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. 4 280 918,83 ლარი (სამუშაოების შესრულების პროცესში საჭირო გახდა პროექტის კორექტირება, პარალელურად მიმდინარეობს ახალი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ქ. ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახ. N1 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი: 43.31.67.061) და ქ. ზუგდიდის N12 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.31.64.027) რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. 7 404 864,17 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- შავი ზღვის აუზის მდინარეებზე, დასავლეთ საქართველოში, სოფელ ანაკლიიდან ქალაქ ქობულეთის ჩათვლით, ნატანდამჭერი სისტემის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების (მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა. 8 747 206 ლარი (სამუშაოები მიმდიანრეობს);
- ქალაქ ზუგდიდში, ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (UEFA) სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისათვის არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილების (მოდიფიკაცია/ადაპტაცია) და მოდიფიცირებული/ადაპტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოებისათვის საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 248 500 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ხობის, სენაკის, აბაშის, ზუგდიდის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულება. 6 000 000 ლარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის (სამუშაოები მიმდინარეობს);
- “საბავშვო ბაღის მშენებლობა რუხში (ზუგდიდი)“. 4 228 637,47 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- საბავშვო ბაღის მშენებლობა ჭითაწყარში (ზუგდიდი)“. 4 228 637,47 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- საბავშვო ბაღის მშენებლობა შამგონაში (ზუგდიდი)“. 3 655 652,01 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალაბასთუმანი-რუხის გზის რეაბილიტაცია. 3 399 302,86 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- საბავშვო ბაღის მშენებლობია დარჩელში (ზუგდიდი)“. 3 675 231,85 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზვიად გამსახურდიას სახელობის ახალგაზრდული ცენტრის, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მშენებლობა ქ.ზუგდიდში. 18 124 080,38 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდში სპორტული კომპლექსის მშენებლობის (დარჩენილი სამუშაოები). 11 586 424 ლარი (ტენდერი გამოცხადდა ხელახლა დარჩენილი სამუშაოების განხორციელებაზე).

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 32 920 334,26 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ზუგდიდში თავისუფლების ქუჩაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 3 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 3 477 462,01 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეულის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულასთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მონაკვეთის (სავარაუდო სიგრძით 2 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები. 1 106 894,93 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.ყულიშკარში, მდ.ყულისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები. 226 141,64 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაკლიაში, მდ.ენგურის (ზღვასთან შესართავი) მარცხენა სანაპირო ზონის ნაპირდაცვის სამუშაოები 1 434 436,58 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიისა და ქ. ფოთში კუნძულ „დიდის“ ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი/ნაპირაღდგენის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენაზე მომსახურება 107 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-7) ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ1-კმ3 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 3 779 999,15 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-8) ზუგდიდი-ანაკლიას საავტომობილო გზის კმ8-კმ14 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 12 099 999,95 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ322+000-კმ327+500 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 10 688 400 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია).

**სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**

**განვითარების სააგენტო“ –4 281 057,07 ლარი.**

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2020-2021 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულიშკარის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სახელმწიფო შესყიდვა 704 441,92 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- სსიპ ქ. ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და ფასადის ნაწილის სარეაბილიტაციო და სსიპ. ქ. ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის ხელოვნურ საფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა 236 230,75 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო შენობის სამშენებლო

სამუშაოების ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვა 1 489 793,3 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა 107 009,47 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწოფო შესყიდვა 837 872,94 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის, სსიპ ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა 135 502,61 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების ცაიშისა და ახალი აბასთუმანის საჯარო სკოლების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა 216 770,06 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისა და შემოღობვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა 136 695,89 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა 239 589,59 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5; N9. N11, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორულუს საჯარო სკოლებში ოთახების რეაბილიტაციისა და სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა 143 150 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- სამეგრელო-ზემო სვანეთის (აბაშა, ზუგდიდი, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, ხობი) რეგიონის რიგი საჯარო სკოლების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო საწვავი ბრიკეტების შესყიდვა 34 000 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

**საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 7 650 110.41 ლარი:**

- ქალაქ ზუგდიდის არარეაბილიტირებული უბნებისთვის წყალარინების სისტემის მოწყობის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების“ შესყიდვა 3 780 519,02 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ. ზუგდიდში წყალსადენის ქსელზე ინდივიდუალური განშტოებებისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბუმეს წყალმომარაგების სისტემის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა 677 951,58 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობა 984 884,81 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- „ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების ურთას, ცაიშისა და ცაცხვის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების“ სახელმწიფო შესყიდვა 288 888 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში წყალმომარაგების სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვა 224 001 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

- ქალაქ ზუგდიდში ბარამიას ქუჩაზე დევნილთა დასახლების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა. 998 173 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- „ქალაქ ზუგდიდში, დაბა ურეკსა და სოფელ ანაკლიაში წყალარინების არსებულ გამწმენდ ნაგებობებზე სახიფათო ნარჩენების დროებითი შესანახი ნაგებობების პროექტირება-მშენებლობის" სამუშაოების შესყიდვა 90 000 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ განმუხურში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილი ობიექტის გარე ელექტრომომარაგების“ მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა 605 693 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

**ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 755 266,77 ლარს:**

1. ***გზების რეაბილიტაცია - 515 887 ლარი.***

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. 160 001 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (ორმულის შეკეთება) სამუშაოების შესყიდვა. 200 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ცვანე-ანაკლიის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოების შესყიდვა. 48 910 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები 45 138 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- საგზაო ნიშნები, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, საორიენტაციო პლასტმასის ძელები (ბოძკინტები) და საგზაო ნიშნის დგარები 61 838 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

2. **საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია და ერთი თბილი ოთახის მოწყობა - 145 568 ლარი:**

- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის, ცაცხვის, ორსანტიის, ნარაზენის, ცაიშის, ჯუმის, ორულუს, ბაშის, ინგირის და მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე საცხოვრებელ სახლებში ერთი თბილი ოთახის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 129 990 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთულში მდებარე საცხოვრებელი სახლების დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. 15 578 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

3. **სანიაღვრე სისტემების მოწყობა- რეაბილიტაცია - 87 265,92 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნიკოლაძის ქუჩაზე რკინა/ბეტონის სანიაღვრე არხისა და ცხაურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 3 499.99 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯიქიოს და სახუხუოს უბნებში ცხაურების და თბილისის და რუსთაველის ქუჩებზე ეზოებთან მისასვლელების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 27 367.16 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N83-დან N89-მდე და შარტავას ქუჩაზე არსებულ ჩიხში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 56 398.77 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

4. **საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია - 21 319,91 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდში, ც. დადიანის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში გარე საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 5 829,91 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქ. N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში გარე საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 15 490 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

5. **მინი სპორტული მოედნების მოწყობა -რეაბილიტაცია - 30 034.99 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 30 034.99 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

6. **სადარბაზოების, ლიფტების და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია: - 196 624,58 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის ქ. N95-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (I კორპუსი) სადარბაზოების ჭერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 4 201 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდში ბუკიას ქუჩა N30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში არსებული სამგზავრო ელექტრონული ლიფტის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 12 877 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში ქუჯის ქუჩა N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მე-4 სადარბაზოში არსებული სამგზავრო ელექტრონული ლიფტის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 11 931 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულის №10, 11, 12, 15 და 19 ოთახის, მე-4 სართულის (მარჯვენა მხარე) დერეფნის, 2 (ორი) ერთეული სველი წერტილის და სამუშაო ოთახების, ადმინისტრაციული შენობის სარდაფის გადატიხვრის და არქივის (ყოფ.ავტოფარეხის) შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 92 426 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N35-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში არსებული სამგზავრო ელექტრონული ლიფტის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 14 515 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის წარმომადგენლის სამუშაო ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 12 750,58 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქ. N25-ში და ლევან II დადიანის ქ. N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 34 983 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულის №13, 15, 17, 19 და 21 ოთახების, პირველი სართულის დერეფნის და №8 ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. 12 941 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია).

7. **წყალმომარაგება - 32 285,98 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისის ქუჩაზე, ჭაბურღილის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით სარეაბილიტაციო სამუშაოები. 8776.98 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- შესყიდვის ობიექტი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის (ზედაპირული წყლის ტუმბოს, გამანაწილებელი კარადისა და მაკოპლექტებელი მოწყობილობების შეძენა-მონტაჟი) მოწყობა. 23 509 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია).

8. **სამოქალაქო ბიუჯეტი - 726 280,39 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსაშვილის ქუჩაზე და ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგოლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 128 966,43 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის, მშვიდობისა და სააკაძის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 224 899,43 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხერგიანის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 97 777,9 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეგ. ფიფიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 89 621,63 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კეკელიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 87 315 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯავახიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. 97 700 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ამ ეტაპზე ასევე გამოცხადებულია ტენდერი მოსახლეობის მიერ ინიცირებული 8 პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

- **დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება**

- **ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი"**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მყარი ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმირების და სრულყოფის საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის მომსახურეობის გაუმჯობესებაზე, სეპარირებისა და რეციკლირების პროცესების დანერგვაზე, ნარჩენების შემცირებაზე და მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ყოველწლიურად იზრდება მერიის მიერ ნარჩენების მართვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობა, რომელიც შეადგენდა: 2020 წელს 4950,0 ათას ლარს (ზრდა წინა წელთან შედარებით 4,9%); 2021 წელს 5598.7 ათას ლარს ( ზრდა წინა წელთან შედარებით 13,1% ); მიმდინარე წელს 1 სულ მოსახლეზე თვეში დაიხარჯება 4,74 ლარი, მაშინ როდესაც სულ ახლო წარსულში ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 3,90 ლარს.

ბოლო წლებში ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი„ მერიის ხელმძღვანელობით, გამოირჩევა სტაბილური წარმატებული საქმიანობით. ცენტრი 2017 წლიდან ღებულობს მონაწილეობას რესპუბლიკურ კონკურსში ,, ყველაზე სუფთა რეგიონი" და მისი 6 გზის გამარჯვებულია. 2021 წლის შედეგების მიხედვით ცენტრმა რესპუბლიკურ კონკურსში 3 მთავარ ნომინაციაში გაიმარჯვა და მიიღო ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტის, ყველაზე სუფთა სოფლის, ყველაზე ლამაზი ეზოს მფლობელის ტიტულები და 4 საპატიო სიგელი.

ცენტრმა წარმატებით დაამთავრა 2021 წლის 1 ნოემბრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდი. სამუშაოები შესრულდა დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში მყარი ნარჩენების გატანის სერვისი ერთნაირად შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 სასოფლო-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობას და ქალაქის მეწარმე იურიდიულ და ფიზიკური პირებს, ეკონომიკურ და საჯარო სექტორს.

მომსახურეობა მიეწოდებოდა : ქალაქის მოსახლეობის 100 %-ს; სასოფლო-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის 90%-ს; კომერციული სექტორის იურიდიულ და ფიზიკურ პირების 100% - ს;

11 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 23.0 ათასი ტონა მყარი ნარჩენი, საშუალოდ ყოველდღიურად ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა 69 ტონა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საანგარიშო პერიოდში ნარჩენების შეგროვება ძირითადად ხდებოდა 3 მეთოდის გამოყენებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ იგვებოდა 50 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 35 - 40 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 10 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 10 – 15 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 40 - 50 ჰექტარი; სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 6 – 7 ჰექტარი;

საკურორტო სეზონის განმავლობაში 2 ჯერ დასუფთავდა შტორმის შედეგად ზღვის ამონაყარისაგან მძიმედ დანაგვიანებული ზღვის სანაპირო ზოლი.

სამსახურის მიერ ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ბაღი, ფრანგული ბაღი, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე მიმდებარე ტერიტორიები, ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია, "სქეით - პარკი „ ვეტერანთა ხეივანი, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია , ზუგდიდის ცენტრალური ავტისადგური და მისი მიმდრბარე ტერიტორიები , იქკ - ს დასახლება და ქალაქის სხვადასხვა ცენტრალური ნაწილი. მთელი წლის განმავლობაში, საჭიროებისდა მიხედვით მომსახურეობა ეწეოდა მშენებარე საკათედრო ტაძარს და ა. შ;

გარდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, საანგარიშო პერიოდში ცენტრის ხელმძღვანელობით ჩატარდა 15-ზე მეტი სხვადასხვა მასობრივი ხასიათის აქციები, რომლებიც გარდა ტერიტორიების დასუფთავებისა, ატარებდნენ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას.

მყარი ნარჩენების მართვაში უმნიშვნელოვანესია წაროქმნილი ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რაც შეიძლება მინიმუმამდე დაყვანა და ამ მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროგრამები ხორციელდება, კერძოდ:

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ 2019 (პროექტი დაიწყო 2019 წლის 14 ოქტომბერს) – 2024 წლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში მდებარე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული, მომქმედი ნაგავსაყრელის დახურვა და მის ადგილზე ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ეროვნული და საერთაშორისო ( ევროკავშირის ) სტანდარტების შესაბამისად. ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვა ქუჩების დასუფთავებისათვის, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის.

მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვის პროცესი მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან უკვე დაიწყო, კერძოდ:

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტს გადაეცა 1 ერთეული 20 კუბური მეტრი მოცულობის ნაგავმზიდი, 1104 ცალი 1,1 კუბური მეტრი მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერი, 175 ერთეული კონტეინერი ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის, 568 ერთეული ქუჩის ურნა. გარდა ამისა ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უახლოეს პერიოდში დამატებით მიიღებს: 2 ერთეულ 13 $m^3$ მოცულობის ნაგავმზიდს, 1 ერთეულ დამგველ ავტომანქანას, 240 ლიტრის მოცულობის 450 ცალ და 120 ლიტრი მოცულობის 100 ცალ ურნას, 153 ცალ სპეციალურ ურიკას და 153 უნიფორმას სეპარირებაში დასაქმებული მუშებისათვის.

ქალაქისა და სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია 900 ცალი 1,1 $m^3$ მოცულობის ახალი კონტეინერი, რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა მომსახურების დონე და ხარისხი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ მყარი ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების პროცესის დაწყება მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა: ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროგრამის ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების

პროგრამა: შემუშავებულია მუყაოს და ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების საპილოტე პროგრამა, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტში მოხდება ქაღალდის გამოცალკევება სხვა სახის მყარი ნარჩენებისაგან, მისი დაპრესვა - დასაწყობება და შემდგომ კი რეალიზაცია. რეალიზაციის შედეგად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი დამატებით მიიღებს 350-400 ათასი ლარის შემოსავალს. მუნიციპალიტეტმა ამ პროგრამის განსახორციელებლად უკვე მიიღო 175 ცალი 1,1 კუბური მეტრი მოცულობის განსხვავებული ფერის კონტეინერი, გამოყოფილია სასაწყობე მეურნეობა. გარდა ამისა მუნიციპალიტეტი მიიღებს 1 ცალ ნაგავმზიდს და სხვადასხვა საჭირო მოწყობილობებს ქაღალდის ტრანსპორტირება-დაპრესვა- დასაწყობებისათვის.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მუშაობდნენ ცენტრის ზედამხედველობისა და კონტროლიორთა სამსახურები. მათი ერთობლივი მუშაობით 11 თვეში ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 137 იურიდიული და ფიზიკური პირი, ჯარიმების სახით ბიუჯეტში ამოღებულია 12,6 ათასი ლარი.

აბონენტების მომსახურებით მოსაკრებლების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშო 11 თვეში შეადგინა 551,1 ათასი ლარი, 102,5 ათასი ლარით მეტი წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით.

- **ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“**

ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით მიღებულმა დაფინანსებამ შეადგენდა 666 822,54 ლარი. 2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 9 თვეში შეადგინა 141 836 ლარი.

ამა წლის იანვრის თვეში საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ა(ა)იპ „გრინ ფორ გეორგიასგან“ მიღებული იქნა 2286 ლარი. მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან ბოტანიკურ ბაღში შესვლა ვიზიტორებისთვის გახდა ფასიანი, დამტკიცდა ერთჯერადი ბილეთებისა და აბონემენტების ტარიფები. აღნიშნული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 119 141 ლარი. საკონფერენციო დარბაზებითა და ღია სივრცით სარგებლობის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 9600 ლარი. კაფეს იჯარით მიღებულ იქნა - 10809 ლარი. 2022 წლის დასაწყისში საკუთარი შემოსავლების წინა წლის ნაშთი შეადგენდა 2506,61 ლარს.

საანგარიშო პერიოდში „ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა“ გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი ადმინისტრაციის შენობაში განთავსებულ კაფეტერიის იჯარის წესით გადაცემაზე. გამოვლინდა გამარჯვებული პირი გიორგი ხუფაცარია, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 64 900 ლარით (დღგ-ს გათვალისწინებით). მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან **83 243.51** ლარი გახარჯულ იქნა შემდეგნაირად: 74 363,11 ლარი - საქონელი და მომსახურება; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯულ იქნა - 8880,40 ლარი.

მიმდინარე წლის 30 ივნისის მდგომარეობით ორგანიზაციის ბოლო 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში მიღებულმა შემოსავლებმა გაადაჭარბა 100 000 ლარს, რის გამოც სავალდებულო წესით დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად.

„ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი" ევროპულ ისტორიული ბაღების მარშრუტის ასოციაციის წევრად აირჩიეს. ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის განყოფილება აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში აქტიურად იყო ჩართული, მომზადდა ორენოვანი (ქართული-ინგლისური) ბაღის საპრეზენტაციო ვიდეო რგოლი. რომელიც ასევე განთავსდა ბაღის Facebook და ვებგვერდზე.

გაფორმდა „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღსა" და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეები ითანამშრომლებენ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებულ ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე, ერთობლივი კონფერენციებისა და სამეცნიერო ფორუმების მოწყობაზე.

„ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში" დაიწყო საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი სახელწოდებით - „ღია გაკვეთილი ბუნებაში". 2022 წლის პირველ ნახევარში ჯამში 17 საჯარო სკოლა იქნა ჩართული. პროექტისადმი ინტერესი გამოთქვა 50-ზე მეტმა სკოლამ, რომლებიც 2022-23 წლებში აქტიურად ჩაერთვებიან საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც ჯამში 1000-ზე მეტ მოსწავლისა და 100-ზე მეტი პედაგოგის საკვალიფიკაციო უნარებზე იქონიებს გავლენას.

მიმდინარეობს გერმანულ-ქართული საერთაშორისო კურსი ტყის მართვის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში იმერული მუხის თესლების შეგროვებითა და დათესვით დაიწყო.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი" 2019 წლიდან თანამშრომლობს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,დეკორატიული მებაღეობის" შემუშავებისა და განხორციელების ფარგლებში.

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში კოლხური ბზის ხეივნის აღდგენის სამუშაოები 2020 წლის ზაფხულში დაიწყო და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

„ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი" Facebook.com-ზე და ვებგვერდზე პერიოდულად აქვეყნებს ბაღის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის, საზოგადოებისთვის მრავალ ნაცნობ და უცნობ, დეტალებს. მასალებს ასევე თან ერთვის ძველი და ახალი ფოტოები.

დღემდე გამოქვეყნებულია ჯვარედინა სასახლის მოკლე ისტორია, ბოტანიკური ბაღის ორანჟერეასა და საჯინიბოს შესახებ ისტორიები. გამოქვეყნებული მასალები ეყრდნობა 2020 წელს რევაზ პაპუაშვილის, ზვიად ქარჩავასა და მერაბ ქვაჩახიას ავტორობით გამოცემულ წიგნს „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის არქეოლოგია და არქიტექტურა".

„ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი" აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღის განაშენიანების შესწავლის პროცესში.

2022 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისა და უსაფრთხოების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- განოყიერდა საბორდიურე ტუიების (5800 ძირი) ნიადაგი (მრავალკომპონენტიანი სუბსტრატის დამატება).
- დაიჭრა და დასაწყობდა ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად წაქცეული და გადატეხილი მცენარეები, მომზადდა შესაბამისი აქტები.

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ბაღის ტერიტორიის დასუფთავება ჩამოცვენილი ტოტებისგან, დაგროვილი ფოთლებისგან, ურნებში დაგროვილი ნაგვისგან. ასევე არსებობის შემთხვევაში სხვა ნარჩენებისაგან (26 ჰა).

- **ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“**

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ -ს 2022 წლის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრა 4 569 000 (ოთხი მილიონ ხუთას ორმოცდაცხრა ათასი) ლარით. ბიუჯეტი 1 ოქტომბრის მდგომარეობით შესრულდა 3309267 ლარით. საკუთარი შემოსავლები 1 ოქტომბრისათვის შეადგენს 52257 ლარს. ცენტრის მიერ 2022 წლის 18 მარტს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, შეძენილ იქნა ერთი ერთეული ახალი ტელესკოპური ამწე კალათა - FOTON TX5511 (18 მეტრიანი), რომლის ღირებულებაა - 153 370 (ას ორმოცდაცამეტი ათას სამასსამოცდაათი) ლარი. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შეძენამ ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე-განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას და სამუშაოების უფრო ოპერატიულად ჩატარებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 1 ოქტომბრამდე პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკა-დანადგარების სარემონტო სამუშაოებისა და სათადარიგო ნაწილების ღირებულებამ შეადგინა 144 914 (ასორმოცდაოთხი ათას ცხრაას თოთხმეტი) ლარი, ხოლო გახარჯული საწვავის ღირებულებამ - 169 035 (ას სამოცდახრა ათას ოცდათხუთმეტი) ლარი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქსა და რაიონში ირიცხება სულ 13 227-მდე გარე განათების ბოძი და გარე განათების სანათი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე - 6 058 განათების ბოძი, ხოლო რაიონში - 7 169 განათების ბოძი.

ცენტრის გარე განათების ქსელის განყოფილების მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ხუბულავას ქუჩაზე განხორციელდა დაზინებული გალვანირებული 9 ცალი ბოძის აღდგენა და მონტაჟი, ასევე წერეთლის ქუჩაზე გალვანირებული 4 ბოძის აღდგენა და მონტაჟი, თბილისი-ზუგდიდის გზატკეცილზე 6 ცალი დაზინებული ბოძის აღდგენა და მონტაჟი, ასევე გარე განათების 270 ცალ ლამპიონს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.
- სოხუმი-ზუგდიდის გზატკეცილზე განხორციელდა 5 ბოძის აღდგენა-მონტაჟი და გარე განათების 180 ცალი ლამპიონის აღდგენითი სამუშაოები. ანაკლია ზუგდიდის გზატკეცილზე აღდგენილია და დამონტაჟებულია 5 ბოძი. ასევე შეიცვალა 100 ცალი განათების ლამპიონი და აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 380 ცალ ლამპიონს. წყალმომარაგების სისტემების მოვლა-პატრონობის მიზნით გახარჯულ იქნა სულ - 26 147 ლარი.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე, გაცემულია სულ 3012 კვ/მ მიწის ნაკვეთი, თანხით 36 096 (ოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი, რის საფუძველზეც ამოღებულია 35 621 ლარი.

ცენტრის მიერ გრძელდება წესდებით გათვალისწინებული, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელება.

## ➢ განათლების პრიორიტეტის დაფინანსება

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება**

1. საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამით ბიუჯეტი შეადგენს 236 245,23 ლარს. აქედან 36 245,32 ლარი შეადგენს გარდამავალ თანხას. სულ მუხლიდან გახარჯულია 87 951,12 ლარი შემდეგ ღონისძიებებზე:

- 14 აპრილი - „ჩემი დედაენა“ -იაკობ გოგებაშვილის ძეგლის შემკობა და ღონისძიებაზე მონაწილე ბავშვებისთვის იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ლიტერატურის „საგანძური“ გადაცემა საჩუქრად, სასაჩუქრე ჩანთით. გახარჯული თანხა 1217,10 ლარი.
- 1 ივნისი-„ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე-„მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ ორგანიზებულ ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებზე წიგნების გადაცემა. გახარჯული თანხა 721 ლარი.
- 24-25 ივნისი-„თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებელთა ორდღიანი კონფერენცია პროექტის „ახალი სკოლა“ გამოცდილებების ურთიერთგაზიარება. გახარჯული თანხა 8727 ლარი.
- 31 მაისი-ესეების კონკურსი თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობის სათავეებთან’. გახარჯული თანხა 852 ლარი.
- 9-10 ივნისი-ოლიმპიდა ფიზიკასა და მათემატიკაში- საჯარო და კერძო სკოლების მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის. გახარჯული თანხა 1282 ლარი.
- სხვადასხვა შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის შესყიდულია 9 481,50 ლარის ყვავილების, ბეჭდვის და ფურშეტის მომსახურება.

2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 10 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 65 670.52 ლარი /დარჩელის N2, ჯუმის, ტყაიის, ჭითაწყარის, ოქტომბრის, ურთის, ოდიშის N2, კოკის, ზუგდიდის N9 საჯარო სკოლები/. ამ თანხიდან 2021 წლის გარდამავალი პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 31 800 ლარი. (დარჩელის N2 საჯარო სკოლა 14 000 ლარი, ტყაიის საჯარო სკოლა 4 800 ლარი, ჯუმის საჯარო სკოლა 12 500 ლარი).

2. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამით გამოყოფილი იყო 250 ათასი ლარი. სულ გახარჯულია 190 852,50 ლარი.

- 2021-2022 სასწავლო წელს მერის სტიპენდია გაიცა 70 სტუდენტზე. გაიხარჯა 105 000 ლარი.
- უცხოეთში სწავლის დაფინანსება მიიღო 22 სტუდენტმა. გაიხარჯა 55 500 ლარი.

- უცხოეთში მგზავრობის ხარჯი დაუფინანსდა 4 ნიჭიერ ახალგაზრდას. გაიხარჯა 6 100 ლარი.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 5 ნიჭიერმა მხატვარმა. გაიხარჯა 6 900 ლარი.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსან კურსდამთავრებულთა დაჯილდოება.

**3.** დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (ტრანსპორტი), ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა - სულ გაიხარჯა: 1 151 037,95 ლარი.

- 2022 წლის 17 იანვარის N3 დაფინანსების ხელშეკრულებით მიღებული თანხით ,2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებისთვის 2022 წლის იანვრის თვეში გადაირიცხა 2021 წლის დეკემბრის შესრულების გარდამავალი თანხა, რომელიც შეადგენდა 203 848,70 ლარს ( სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 30 ნოემბრის N270 ხელშეკრულება).
- 2022 წლის იანვრიდან - ივნისის ჩათვლით შესრულებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებისთვის კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხულია - 947 189,25

- **ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45- სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“.

მიმდინარე წელს კვების ხარისხის ამაღლების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, საბავშვო ბაღების სამზარეულოებში დამონტაჟდა გამწოვი სისტემა და წყლის ელექტროგამაცხელებლები - 3 695 ლარის ღირებულების. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საბავშვო ბაღებში დაინერგა (HACCP) -ის სტანდარტის სისტემა, რაც საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემაა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში პოტენციური საფრთხეების დადგენას, მათ პრევენციასა და აღმოფხვრას გულისხმობს.

2021 წელს ცენტრს საკუთრებაში გადაეცა ახალაშენებული ჯუმის საბავშვო ბაღის შენობა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, ლაღიძის ქუჩაზე აშენებული ახალი საბავშვო ბაღის შენობა, რომელთა მანქანა-დანადგარებით, ინვენტარით, ოთახის

სათამაშოებით აღჭურვა განხორციელდა ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ“. ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ გადსცა თავისუფლების ქ.N186 -ში მდებარე შენობა N14 საბავშვო ბაღისთვის, რომლის რეაბილიტაცია და აღჭურვა განხორციელდა სტანდარტების შესაბამისად. გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.

საბაცშვო ბაღებში დარიგდა საახალწლო საჩუქრები 4 000 აღსაზრდელებისთვის. ერთი სასაჩუქრე ნაკრების ღირებულებამ შეადგინა 8 ლარი და 50 თეთრი, სულ გაიხარჯა 34 000 ლარი.

ბაღებში სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით 2022 წელს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. კერძოდ:

- შესრულდა N14 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაო - 69 755,11ლარის ღირებულების;
- შესრულდა N14 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 18 542,20 ლარის ღირებულების;
- მოეწყო N14 ს/ბაღის გაზიფიცირება- 1 592,01 ლარის ღირებულების;
- შესრულდა დიდინეძის საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვის სამუშაოები - 2 785.88 ლარის ღირებულების;
- შესრულდა კახათის საბავშვო ბაღის გადახურვა - ღირებულება 31 446,90 ლარი;
- შესრულდა N7 საბავშვო ბაღში ფანჯრების შელესვა და N16 საბავშვო ბაღში აივნის და გარე ეზოს მოწესრიგება - ღირებულება 49 959, 54 ლარი;
- განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები N15 და კოკის საბავშვო ბაღებში. N15 ს/ბაღში მოეწყო სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები, ხოლო კოკის ს/ბაღში მოწესრიგდა სველი წერტილები; შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგენა - 16 741. 74 ლარი;
- ჩატარდა ნარაზენის N2 ს/ბაღში სახურავის რეაბილიტაცია - 8 062,30 ლარის ღირებულების.
- გამოიცვალა N12 ს/ბაღში ცენტრალური გათბობის ქვაბი, რომლის ღირებულებამ შეადგინა - 9 835 ლარი.

## ➢ კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში ახალგაზრდობის სრულფასოვანი მონაწილეობა ჩვენი მუნიციპალიტეტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად შემუშავება და განხორციელება კიდევ უფრო ზრდის ახალგაზდრობის პოტენციალსა და როლს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტია, რომელსაც აქვს ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი. დოკუმენტს გააჩნია 4(ოთხი) მთავარი მიზანი: არაფორმალური განათლება, ახალგაზრდობის ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება, ახალგაზრდებში სოციალურ-ეკენომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, სპორტისა და ხალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტები მაქსიმალურად მორგებულია ახალგაზრდების საჭიროებებსა და მათ სურვილებზე.

**განყოფილების მთავარი მიზანს ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარება წარმოადგენს. შესაბამისად, შემუშავებულია პროგრამა არაფორმალური საგანმანთლებლო პროექტების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის მიზანია, არსებულ შესაძლებლობებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის გაზრდა.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამები:

**2022 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით დაფინანსებულია ათეულობით პროექტები. ჩამოვთვლითზოგიერთს:**

10-11 ივნისი - ა(ა)იპ „ზუგდიდის ჩოგბურთის სამოყვარულო კლუბი“ - ჩატარდა სამოყვარულო ჩოგბურთის ტურნირი განმუხურის საჩოგბურთო მოედანზე. ბიუჯეტი 3314 ლარი.

04-23 ივნისი - ა(ა)იპ „ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრი“ - ნიკოსეულ სასახლეში ჩატარდა ,,ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ხელნაწერით დაინტერესებული ახალგაზრდების მიერ შესრულებული ორიგინალური მხატვრული მინიატურების გამოფენა და კონფერენცია. ბიუჯეტი:736ლარი.

20.08.2022-20.12.2022 - ა(ა)იპ ,,ზუგდიდის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი“ - პროექტი- ,, ახალგაზრდები ბარიერს მიღემა და მათი სოციალური ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებაში“. ბიუჯეტი: 4940 ლარი.

15 სექტემბერი - ა(ა)იპ ,,საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაცია“ - ზუგდიდის ადგილობრივი ჩემპიონატი ფეინთბოლში. ღონისძიება გაიმართა ანაკლიის

ადმინისტრაციულ ერთეულში. ბიუჯეტი: 4550 ლარი.

5-15 სექტემბერი - ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული ასოციაცია დრონი“ - პროექტი ,,ახალგაზრდები და მედია“ – ხორვატიის ქალაქ ველი-ლოსინში 6 ზუგდიდელი ახალგაზრდის (13-დან 18 წლამდე) ვიზიტის თანადაფინანსება. ბიუჯეტი : 2488 ლარი.

4 სექტემბერი - ა(ა)იპ ,,სამოქალაქო აქტივობისა და თანასწორობის ცენტრი“ -პროექტი ახალგაზრდების დემოკრატიული განვითარება - 9 ზუგდიდელი ახალგაზრდის სასწავლო ვიზიტი პოლონეთის ქალაქ გდანსში. ბიუჯეტი: 3410 ლარი.

12 აგვისტო - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე „ველომარათონი 2022“ - ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების მიზნით ზუგდიდი-რუხის მიმართულებით გაიმართა ველო მარათონი. გამოვლინდა სამი გამარჯვებული. ბიუჯეტი: 1500 ლარი.

15 აგვისტო - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2022 წლის 12 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმა. კვირეულის დასკვნით დღეს, განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა გალა კონცერტი. მოწვეული იყო პოპულარული ჯგუფი ,,BEDFORD FALLS”, DJ ,,RINDI“. ბიუჯეტი: 35 990 ლარი.

6-7 აგვისტო - ა(ა)იპ ,,საქართველოს BMW კლუბი“ - ჩატარდა საქართველოს დრიფტის ჩემპიონატის მე-2 და მე-3 ეტაპი. ბიუჯეტი: 4950 ლარი.

10-11 სექტემბერი - საქართველოს სპორტინგის ფედერაცია - ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის მესამე (შემოდგომის) ეტაპი კომპაკ სპორტინგში. ბიუჯეტი: 7060 ლარი.

ა(ა)იპ ,,სამეგრელოს ტურიზმის განვითარების ცენტრი - იყავი მზად გახდი სკაუტი - პროექტის სამიზნე ჯგუფის ასაკი 13-დან 25 წლამდე ახალგაზრდები. ბიუჯეტი: 8000 ლარი.

ა(ა)იპ ,,დასაქმებისა და გადამზადების ცენტრი“ - პროექტი ,,ახალგაზრდული სათათბირო“ - მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა. ახალგაზრდულ სათათბიროში დღეის მდგომარეობით გაწევრიანებულია 250-მდე ახალგაზრდა, რომლებიც მუდმივად მონაწილეობას იღებენ მერიის მიერ დაგეგმილ ახალგაზრდულ აქტივობებსა და საქმიანობებში. ბიუჯეტი: 20 000 ლარი.

შშმ და სოციალურად დაუცველი სპორტსმენების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შემდგომი ზრდის მიზნით 2022 წლის განმავლობაში სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება- 2022 წელს პროგრამიდან დაფინანსდა უსინათლოთა ფეხბურთის ნაკრების წევრი ბაჩუკი ხასაია - 1920 ლარით. ზუგდიდის ჭიდაობის სასპორტო სკოლის ძიუდოისტი ანანო მორგოშია - 350 ლარით. ბიუჯეტი: 2270 ლარი.

- **ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 4-ში, 2022 წლის 5 აპრილიდან 11 ივლისის ჩათვლით საფეხბურთო კლუბი

ოდიში 1919“-ის ძირითადმა გუნდმა ჩაატარა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიგა 4-ის 15 ტური. უსახსრობის გამო გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო U-17-ის ფეხბურთელებით, სწორედ ასაკში დიდი სხვაობა და გამოუცდელობა გახდა მიზეზი იმისა, რომ კლუბის ძირითადმა გუნდმა პირველი წრე დაასრულა ბოლოდან მეორე ადგილით.

კლუბი დადგა ლიგა 4-იდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე და ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება მთელი ფინანსური რესურსი მიემართა პროფესიონალი ფეხბურთელების მოსაძიებლად, პარალელურად აგრძელებდა (დღემდე) სპონსპრული თანხების მოძიებას ახალწვეულების ხელფასების, საცხოვრებელი ფართისა და კვების უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპზე ჩატარებული 10 ოფიციალური მატჩიდან ჩვენს ანგარიშზეა 5 მოგება, 3 ფრე და 2 წაგება. მიღწეული შედეგებით კლუბი წარმატებით აგრძელებს ბრძოლას ლიგა 4-ში ადგილის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება, კლუბის საფეხბურთო სკოლას, წლის დასაწყისიდან ინტენსიურად მიმდინარეობს ვარჯიშები და გუნდები ჩართულნი არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში.

2021 წლის ივნისის თვიდან პანდემიის გამო გადადებული U17-ისა და U15-ის ჭაბუკთა ლიგა განახლდა 2022 წლის აპრილიდან. U17-ის ასაკობრივმა გუნდმა ჩაატარა „ვერცხლის ლიგი“-ს 18 მატჩი, მის ანგარიშზეა 7 მოგება, 1 ფრე და 10 წაგება. სატურნირო ცხრილში პირველი წრე U17-მა დაასრულდა VI ადგილით. ხოლო გადადებული მატჩებიდან U15-მა ჩაატარა 24 მატჩი, გუნდის ანგარიშზეა 14 მოგება, 2 ფრე და 8 წაგება. აღნიშნული შედეგით U15 „ბრინჯაოს ლიგი“-დან დაწინაურდა „ვერცხლის ლიგა“-ში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული U17-ისა და U15-ის „ვერცხლის ლიგის“ II წრე განახლდა 25 აგვისტოდან.

U-16-ის ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ რამაზ შენგელიას სახელობის თასის გათამაშენაში. I წრეს დაგროვილი ქულებით გუნდმა დაიკავა IV ადგილი, მის ანგარიშზეა 8 მოგება, 2 ფრე და 5 წაგება. მეორე წლე განახლდა მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, ჩატარებული 3 მატჩიდან მის ანგარიშზეა 2 მოგება და 1 წაგება. ზედა ოთხეულის მატჩებიდან 6 ოქტომბრიდან ჩატარდა 2 მატჩი და 15 ნოემბრამდე დარჩენილია 4 მატჩი.

სამეგრელო ზემო-სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში მონაწილეობას იღებენ კლუბის შემდეგი ასაკობრივი გუნდები: U-10, U-12 და U-14.

საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ს ასევე ჰყავს ახალგაზრდული გუნდები, რომლებიც 2022 წელს არ იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში, მაგრამ გადიან მოსამზადებელ პერიოდს, რაც მიზნად ისახავს კლუბის მოქმედი ახალგაზრდულ გუნდებში მათ ჩარიცხვას, ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

ასევე, მიმდინარე წლის 28 ივლისს საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-მა ორგანიზება გაუწია ტრადიციულ ტურნირს, რომელიც ეძღვნება ბადრი დარასელიასა და ზვიად ქაძანაიას.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“; მეორე ადგილი: კოლხეთის ს/კ „ხობი“; მესამე ადგილი: ჩხოროწყუს „ერთობა“. გუნდები დასაჩუქრდნენ თასებით, მედლებითა და სერთიფიკატებით.

ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში „პიერო“-ს თასზე მესამედ გაიმართა მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, რომელსაც საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის ხელმძღვანელობამ, საფუძველი ჩაუყარა 2020 წელს. ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი ეძღვნება ახალგაზრდა

ზუგდიდელის, აწგარდაცვლილი ზუკა კოკაიას (იგივე „პიერო“-ს) ხსოვნას. წინა წლებთან შედარებით, ტურნირში მონაწილეობა 10 წლამდე ნორჩმა ფეხბურთელებმა მიიღეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასპარეზობაში სამეგრელოს რეგიონთან ერთად აჭარის რეგიონიც ჩაერთო. სხვა რეგიონის ჩართულობა ბავშვთა ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაბიჯია.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა ფოთის „კოლხეთი 1913““; მეორე ადგილი: ზუგდიდის ს/კ „ოდიში 1919“; მესამე ადგილი: ბათუმის ს/კ „ბათუსი“. გუნდები დასაჩუქრდნენ თასებით, მედლებითა და სერთიფიკატებით.

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი ყოველწლიურად რანგირების მიხედვით აფინანსებს სკოლებს. 2022 წელს კლუბმა გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სკოლების კატეგორიზაცია და კლუბს 2022 წელს მიენიჭა **III** კატეგორია. სკოლებისა და აკადემიის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ დაფინანსდება, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ.

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილება**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოიყო 250 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 9 თვის მონაცემებით (იანვარი-სექტემბერი) გახარჯულია 106 319. 5 ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგი სახის ღონისძიებებზე:

“მარტის თვეა შენი“- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიება, სხვადასხვა სფეროს დამსახურებული ქალბატონების მოწვევა მერიაში და მათი დაჯილდოება. ბიუჯეტი: 6 792,5 ლარი.

23 მაისი - „აფხაზეთობა“. ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის ,,სარა ბარა ბზბია ბზბოიტ ანუ მე შენ მიყვარხარ“ ჩვენება. სპექტაკლი გაიმართა ააიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლის“ დარბაზში. ბიუჯეტი: 6 160 ლარი.

- 30 მაისი - კულტურისა და დონორებთან ურთიერთობის განყოფილებების ერთობლივი ორგანიზებით ზუგდიდის ისტორიულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა კულტურის განვითარების სტრატეგიის საჯარო პრეზენტაცია. ღონისძიებაზე მოწვეული იყო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფი და მაუწყებლობა გადაიცემოდა პირდაპირ რეჟიმში მერიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის, ასევე გვერდის „შემოქმედებითი ზუგდიდი უკეთესი მომავლისთვის“ სოციალურ გვერდებსა და ონლაინ პლათფორმებზე. კულტურის განვითარების სტრატეგიის მიზანსწრაფვებიდან გამომდინარე პრეზენტაციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელოვანების და ხალხური რეწვის გამოფენა, ასევე მეგრული გასტრონომიის ნიმუშები, რომელიც მოიცავდა მეგრული ავთენტური გემოების წარმოჩენას.

• 5 ივნისი - ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხას“ ხელმძღვანელის ემირ ნადარეიშვილის ვარსკვლავის გახსნა. ბიუჯეტი: 4 845 ლარი.

• 14-15 ივლისი - პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ,,კოლხი და ...“ . აღნიშნული ფესტივალი დაფუძნდა 2019 წელს. მეგრული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და პოლიკარპე ხუბულავას სახელის უკვდავყოფასთან ერთად, პროექტის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის გახდეს ცნობილი, ზუგდიდში დაცული უდიდესი სიწმინდის შესახებ, რათა შემდეგში, მეტი ტურისტისა და მომლოცველის ჩამოსვლას შევუწყოთ ხელი. მიმდინარე წელს ღონისძიება მიეძღვნა ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას. ბიუჯეტი: – 59 450 ლარი.

• 10 სექტემბერი - პოლონეთის ქალაქ სეინის, სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა ,,ხელოვნების, კულტურის, ერების საზღვარი“, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმთან და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, ,,თანაცხოვრების ისტორიები-საზღვრის ფესტივალი“-ს ფარგლებში, დადიანების მუზეუმის ეზოში გამართა ქალაქ სეინის თეატრის კლეზმერის ორკესტრის კონცერტი.

• 19 სექტემბერი - EU4culture დასკვნითი ღონისძიების და დაჯილდოების ცერემონია

Eu4culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის (წამყვანი პარტნიორი), დანიის კულტურის ინსტიტუტის, ჩეხეთის ცენტრებისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მიერ ხორციელდება. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია შემუშავდა Eu4culture პროექტის ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირი 300,000 ევრომდე დაფინანსებით განახორციელებს. დაფინანსება დაეხმარება ზუგდიდს ამბიციური მიზნების მიღწევაში, რაც გულისხმობს ზუგდიდის შემოქმედებითი კულტურული ინდუსტრიების განვითარებას და მის შემოქმედებითობის, რეწვისა და გასტრონომიის ქალაქად ქცევას. ბიუჯეტი: 7 970 ლარი.

• 21 სექტემბერი - "ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის საერთაშორისო პრემია 2022 - ახალგაზრდებისთვის" დაჯილდოების ცერემონია

ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის მიზანია მშვიდობის მშენებლობისა და განმტკიცების პროცესში ჩართული აქტივისტების ღვაწლის დაფასება. ბიუჯეტი: 8 181 ლარი.

27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ რუხში, სოხუმის დაცემის დღე სიმბოლური შეკრებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალგაზრდებთან ერთად გაიხსენეს. მდუმარე აქციას, რომელსაც სანთლებით ,,ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები" ეწერა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია, მის მოადგილესთან და სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებთან ერთად ესწრებოდა. ბიუჯეტი: 600 ლარი.

• 28 სექტემბერი - ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია

2022 წელს ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია ზუგდიდის პირველი კლასიკური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც წელს ა(ა)იპ ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის" ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩაეყარა საფუძველი. ღონისძიების ფარგლებში ზუგდიდს სტუმრობდა საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით. ბიუჯეტი: 5 877 ლარი.

• 28 სექტემბერი - რაულ ჩილაჩავას ვარსკვლავის გახსნა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კულტურის პალატის გადაწყვეტილებით, სკეიტ პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოეტის, მწერლის, მთარგმნელისა და დიპლომატის, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს, უკრაინის და ლატვიის მწერალთა ეროვნული კავშირების, მწერალთა და პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრის, ქართულ, უკრაინულ ლატვიურ ენებზე ათეულობით წიგნის და თარგმანების ავტორის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მფლობელის, რაულ ჩილაჩავას ვარსკვლავი გაიხსნა. ბიუჯეტი: 4 800 ლარი.

გახარჯული თანხა მიიმართა ლიტერატურულ საღამოებზე, ასევე მემორიალებისა და ძეგლების ყვავილების გვირგვინებით შესამკობად, სულ 1 644 ლარი. კერძოდ:

საბჭოთა ოკუპაციის დღე; პოეტ ზაურ მოლაშხიას ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო; პირველი ქართული რეფერენდუმის დღე და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე; ჩხორიის სამოყვარულო თეატრის საპრემიერო ჩვენება; 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღე; საოკუპაციო ხაზთან დაღუპული გიგა ოთხოზორიას ხსოვნის დღე; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღე; დიპლომატის, მეცნიერის, მთარგმნელის, პოეტის, ჟურნალისტის, რაულ ჩილაჩავას ლიტერატურული საღამო; 13 ივნისი ტრაგედიის მსხვერპლის მარიამ ქუთელიას ხსოვნის დღე; „ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე“; 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპლთა ხსოვნის დღე; უგზოუკვლოდ დაკარგულთა ხსოვნის დღე; 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთა ხსოვნის დღე; ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 155-ე სეზონი გახსნა პრემიერით დმანისის და ზუგდიდის თეატრების კოპროდუქცია - ,,ანა ფრანკის დღიური"; ზუგდიდის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში რუსთაველის ეროვნული თეატრის საგასტროლო სპექტაკლი - გ.ერისთავის "ძუნწი".

## განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 05 02 02 კოდით გათვალისწინებული კულტურული მემვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა შეადგენს 126 400 ლარს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განხორციელდა დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები. მოხდა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის გამოცემა, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო-სადაზვერვო ექსპედიციების მოწყობა, შემეცნებითი ხასიათის ლექცია-სემინარების გამართვა, მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ვიქტორინა კონკურსების ორგანიზება, ახლადგამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების სტატუსის მოსაპოვებლად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სფეროში წარდგენა, სხვადასხვა ადგილობრივ და

საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მიღება და წარმატებების მიღწევა (EU4CULTURE-ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა და მასში კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციური განვითარების პრიორიტეტად დასახვა, საქართველო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ,,არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად" გამარჯვება და დაფინანსების მოპოვება). ასევე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზების მიზნით კომპოზიციის განსათავსებლად სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამის უწყებასთან წარდგენა (ისტორიულ-სამართლებლივი ძეგლის ,,ქვატახტის" კომპოზიციის ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმის მთავარი შესასვლელი ეზოსთან მდებარე ცაცხვის ხის ძირას განთავსებისათვის, სანებართვო დოკუმენტაციის მისაღებად განაცხადი წარდგენილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სააგენტოში), საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების აღდგენის, რევიტალიზაციის შესახებ კონცეფციის წარდგენა და სხვ.

ამ ეტაპზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სფეროში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. 03.02.2022 წ. – 02.05.2022 წ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ ერთობლივად მოეწყო საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი ,,ზუგდიდის არქეოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ვიდეო - ლექციების კურსს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ლექციები დაყოფილია ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში არსებული არქეოლოგიური, ისტორიული, ბუნების და სხვ. ძეგლების შესახებ სამეცნიერო კომენტარებით, პროექტი იძებნება YOUTUBE არხზე.
2. 06.07.2022 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების პოპულარიზების მიზნით გამოიცა სამეცნიერო ნაშრომი, წიგნი ,,ერგეტა" (სამაროვნები), სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი დასკვნები და მასალები, მას მიეძღვნა, როგორც საქართველოში (პროფ. ზურაბ ბრეგაძე), ასევე საერთაშორისო დონეზე (,,ონლაინ არქეოლოჯი") რეცენზიები და მისი სამეცნიერო ღირებულება შეფასებულ იქნა, როგორც არსებითად საინტერესო. წიგნის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა - 9000.0 ლარი.
3. გერმანიის იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად ( ხელმძღვანელი ანიგრეტ პლოტკე-ლუნინგი) მოეწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების გეოფიზიკური დაზვერვა და ციფრულ რუკაზე დატანა. (ექსპედიციას სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ადგილობრივმა ტელერადიო კომპანია ,,ოდიშმა" ).
4. 08.07.2022 წ. - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწვალე - ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და პოპულარიზების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთად მოხდა ვიქტორინა კონკურსების: ,,ვიცნობდეთ ჩვენი ქალაქის ისტორიას" და ,,ნორჩი მკვლევარის" ორგანიზება. პროექტის ფარგლებში მომზადდა ზუგდიდის ნაკლებად ცნობილი ისტორიის შესახებ შეკითხვები (მათ შორის

ვიდეო შეკითხვები), რომლის ფარგლებში ფინალურ ტურში გასული კონკურსანტებისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე წიგნები - 733.0 ლარი.

5. 15.07.2022 წ. - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზდობის სამინისტროს მიერ გამოცხადდა კონკურსი ,,არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად", სადაც წარდგენილ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პროექტი ,,ვიცნობდეთ ცაიშის სამაროვნის არქეოლოგიურ მემკვიდრეობას". კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელებს ჩაუტარდათ შემეცნებითი საველე-პრაქტიკული სწავლება, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კულტურული ფენების პრეპარაციის, არტეფაქტების ფიქსაციისა და დოკუმენტირების მასტერკლასებში - პროექტის ჯამურმა ღიღებულებამ შეადგინა- 5400 ლარი.
6. 16.07.2022 წ. - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, მოქალაქე ლევან ქეცბაიას ინიციატივის საფუძველზე მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორი გენო ადამიას სახვითი ხელოვნების ძეგლის (ბიუსტი) ზუგდიდში, ე.წ. ევროპული პარკის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ წინადადება, პროექტით გათვალისწინებული მომსახურება მთლიანად განმცხადებლის მიერ დაფინანსდა. ბიუსტის გახსნის ცერემონიალს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ვეტერანები, ეროვნული გმირის ოჯახის წევრები, ახლობლები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საპატიო ყარაული ესწრებოდა.
7. 30.08.2022 წ. - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ე.წ. ,,ცაიშის სამაროვნის" და მის მომიჯნავე ტერიტორიებზ ჩატარდა საველე-პრაქტიკული არქეოლოგიური კვლევა-ძიება და საძიებო-სადაზვერვო შურფების გავლება. აღმოჩენილ იქნა, როგორც ახალი არქეოლოგიური ძეგლები, ასევე მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არტეფაქტები - შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (რომელიც იშვიათია შიდა კოლხეთის ტერიტორიაზე), ბრინჯაოს წარმოების კერები (წიდები, ტიგელები და სხვ.), ინდივიდუალური სამარხები (მეორადი დაკრძალვით), ძველი წელთაღრიცხვი V საუკუნის კოლხური თეთრები (2 ეგზემპლარი) და სხვ. - არქეოლოგიური კვლევა-ძიების მომსახურების შესყიდვის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 38610 ათასი ლარი.
8. 20.09.2022 წ. - მომზადდა საგრანტო-საკონკურსო პროექტი, საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ,,ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრის" ევროპა - ნოსტრას მიერ ინიცირებული ევროპის 7 განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების გადარჩენის ფონდში. პროექტი ითვალისწინებს ეროვნული მნიშვნელობის განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკონსერვაციო, სარეაბილიტაციო და რევიტალიზაციის საკითხების ხელშეწყობას.
9. 23.09.2022 წ. - ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის პროექტი #EU4Culture სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ისტორიული ბაღების ევროპულ კავშირში ინდივიდუალურად გასაწევრიანებლად ევროპელ სპეციალისტებს წარედგინათ ტექნიკური დოკუმენტაცია : ფოტო - ვიდეოთვალსაჩინოების მასალები, ბოტანიკური ბაღის დაარსების და განვითარების ისტორია, ასევე დენდროლოგიური, არქეოლოგიური, სახელოვნებათმცოდნეო, კულტურული რესურსების ასპექტები და

შესრულებული ტექნიკური სამუშაოების დეტალები, რომლის საფუძველზე ზუგდიდის ბოტანიკური გაწევრიანდა ისტორიული ბაღების ევროპულ კავშირში.

10. 04.10.2022 წ. - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ჩერქეზული(ადიღური) კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ანაკლიაში ჩატარდა IV კავკასიური ლიტერატურული ფესტივალი ,,ანაკლია 2022" , ფესტივალი ტრადიციულად ჩერქეზთა გენოციდის მსხვერპლთა მემორიალთან გაიხსნა. ფესტივალზე შედგა ახალ ლიტერატურული გამოცემების პრეზენტაცია. წარმოდგენილი იყო ჩერქეზული, ქართული, აფხაზური, ჩეჩნური, ბალყარული, ინგუშური, ოსური, დაღესტნური და სხვა კავკასიური ლიტერატურის შემოქმედებითი ნიმუშები. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები. (ცნობისათვის: ფესტივალ 2017 წელს დაფუძნდა. 2018 წელს ღონისძიება თამაზ ჟორჟოლიანის, ხოლო 2019 წელს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის იუბილეს მიეძღვნა)- პროექტის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა – 14950.0 ლარი.

ამდენად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ორგანიზაციული ბიუჯეტის 05 02 02 კოდით გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით, ამ ეტაპზე სულ გახარჯულია 68693 ლარი, ამ ეტაპზე დარჩენილია 57707 ლარი.

ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა რამდენიმე საინიციატივო წინადადება:

1. დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულის სასოფლო ცენტრში მდებარე ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მიენიჭა რეპრესირებული ვარლამ ანჩაბაძის სახელი (აქ 2019 წელს განთავსდა მემორიალური დაფა, შესაბამისი დესკრიპციითა და ბარელიეფური გამოსახულებით) - ინიციატორი მოქალაქე გრიგოლ ჭედია.
2. ზუგდიდის დრამატული სახელმწიფო თეატრის მიმდებარედ არსებულ სკვერს მიენიჭა ,,თეატრის სკვერის“ სახელი.

- **რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა**

ზუგდიდის მუნიციპალიეტის 2022 წლის ორგანიზაციული ბიუჯეტის 05 02 06 კოდით გათვალისწინებული რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა შეადგენს 120.0 ათასი ლარს.

ამ ეტაპზე თანხა სრულად გაიხარჯა შემდეგი მიზნობრიობით: ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსში შესასრულებელი სამშენებლო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად -120.0 ათასი ლარი.

- **ა (ა)ი პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი**

ა (ა)ი პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფუნქცია მრავალმხრივია,რომლის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე კულტურული სივრცის შექმნა ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, ადგილობრივი მუზეუმების, ზუგდიდელ მხატვართა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა, ხელშეწყობა და განვითარება, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა -პოპულარიზაცია.

ცენტრის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები, მათ შორის:

20 იანვარს ბელგიაში, ქალაქ განტში - ტექსტილის მუზეუმში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის სამხატვრო გალერეის მხატვრის, ელენე ფიფიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა და გაგრძელდა 15 თებერვლამდე;

3მარტს-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში ზუგდიდიელი მხატვრების ჯგუფური გამოფენა გაიხსნა.

1 აპრილს- ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს მორიგი პრემიერა ლ.თაბუკაშვილი-,,შენკენ სავალი გზები“ წარუდგინა.

30 აპრილს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბავშვთა და მოზართა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ცისკარის“ 20 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა. კონცერტს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირისა და აკადემიის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ;

4 მაისს-ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის I ტური გაიმართა;

26-31 მაისს ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია“ მოწვევით იმყოფებოდა ლიეტუვას რესპუბლიკაში, ქალაქ იონავაში, სადაც საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალი ,,აქ , ჩვენ ბედნიერები ვართ“ ჩატარდა;

22 ივნისს - ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მუზეუმების განყოფილებას სტუმრობდა ცნობილი მოღვაწე თურქეთში, მთარგმნელი ბ-ნ ერდოღან სენოლი, მან თურქულად თარგმნა კონდრატე თათარიშვილის უკვდავი მოთხრობა "მამელუქი'' რომელიც საჩუქრად გადმოსცა მუზეუმს.

24-29 ივნისს ხელოვნებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალში ,,ART-კოლხი“ მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები: ,,ჩელა“, ,,ცისკარი“ და ,,ოდოია“;

14-15 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის II საერთაშორისო ფესტივალი ,,კოლხი და“... ჩატარდა. ღონისძიებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღო მონაწილეობა.

26 აგვისტოს -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეაში , მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრები გამოიფინა;

1- 5 სექტემბერს-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი "ცისკარი" (სამხატვრო ხელმძღვ. რომეო ბულია, ქორეოგრაფები: მაკა გვიჩია, რობერტ ბულია) ცენტრის ორგანიზებითა და ხელშეწყობით იმყოფებოდა ბულგარეთში - სმოლიანის ოლქში, ქ. ნედელინოში, 21-ე საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე.

28 სექტემბერს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით კლასიკური მუსიკის პირველი ფესტივალი ჩატარდა.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (კოდი 050201) ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრს", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის #22 დადგენილებით, 2022 წლის ასიგნება შეადგენს 1200000 ლარს. მათ შორის: სუბსიდია 1150000 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 50000 ლარი. ხოლო დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით სუბსიდია 1146965 ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდა 53035 ლარი. 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით საკასო შესრულება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან შეადგენს 958803,05 ლარს.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი"-ს საკუთარი შემოსავლები 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 7070,30 ლარს. აქედან, დარბაზის მომსახურებიდან შემოსავალი- 4764,6 ლარი, ნაშთი 01,01,2022 წლისთვის 2275,70 ლარი.

- **ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"**

ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება" შედგება ოთხი სტრუქტურული ერთეულისაგან: N1 სამუსიკო სკოლა, N2 სამუსიკო სკოლა, საგუნდო-სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ნაწილი პედაგოგებისა 2021 წლის ნოემბრის დასაწყისისათვის მუშაობდა სახლიდან ონლაინ რეჟიმში, ნაწილი კი მეცადინეობებს ატარებდა სამედიცინო რჩევების სრული დაცვით.

2022 წელი სახელოვნებო სკოლებისთვის მთელი შემართებითა და ენთუზიაზმით დაიწყო. საყურადღებოა, ის ფაქტორიც, რომ შეუფერხებელ მუშაობას ხელი შეუწყო

პანდემიური რეჟიმის ლოკალიზაციამ, რამაც საშუალება მისცა პედაგოგებსა და მოსწავლეებს აქტიურ ფაზაში გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის პირველი ნახევარი წარმატებებითაა შემოფარგლული, რომელსაც ამშვენებს პედაგოგების დაჯილდოვება და ასევე, რა თქმა უნდა, მოსწავლეთა სიგელ-დიპლომები. ღონისძიებები ჩატარდა არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, სადაც არაერთხელ გამოიჩინა თავი ჩვენი სკოლების მოსწავლეებმა. მნიშველოვანია, რომ ჩატარებული კონკურსებისა და ფესტივალების ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო სახელოვნებო სკოლების გაერთიანებულმა ორგანიზაციამ, რომელიც საფუძველი გახდა ამჟამად და მომავალშიც ხელოვნების სხვადასხვა დარგების გამოცოცხლების, განვითარებისა და წინსვლის საწინდარი, რაშიც იგულისხმება სახელოვნებო სკოლების გაერთიანების საქმიანობის უმთავრესი მიმართულება, მიზანი და ამოცანა.

მომავალში ვიმედოვნებთ, ყოველი წარმატება მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია, რადგან აქტიურ ფაზაში ჩართულობა ყოველთვის იძლევა ნაყოფიერ შედეგს, ვინაიდან სამომავლო გეგმები სკოლებისა და მომავალი თაობის ესთეთიკურად აღზრდისა და მათი განვითარებისკენაა მიმართული.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სტრუქტურულმა ერთეულებმა დაასრულა 2021-2022 სასწავლო წელი, შეჯამდა წლიური საქმიანობა და შედეგები. სკოლებში ჩატარდა გამოცდები, შეფასდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, გაიცა არაერთი სიგელ-დიპლომი წარმატებული ახალგაზრდებისთვის. დაიგეგმა 2022-23 სასწავლო წლის პროგრამები, განსახორციელებელი პროექტები და ღონისძიებები.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება დიდი გამოწვევების წინაშეა, რისთვისაც ვემზადებით და მთელი შემართებითა და სიახლეებით შევხვდებით ახალ სასწავლო წელს.

ზაფხულის არდადეგების შემდეგ, ახალი გამოწვევებითა და იდეებით დატვირთული სასწავლო წელი დაიწყო სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში. სკოლებში ჩატარდა პედაგოგიური საბჭო, დაზუსტდა მოსწავლეთა კონტიგენტი, შედგა ტარიფიკაცია, რომლის საფუძველზე განისაზღვრა პედაგოგების კვირეული საათობრივი დატვირთვა, დამტკიცდა სასწავლო - სამუშაო გეგმა. რასაკვირველია, გაგრძელდა შემართებით ნაყოფიერი მუშაობა სხვადასხვა პროექტებზე, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები პედაგოგები მოსწავლეებთან ერთად, რომლებსაც არაერთხელ მიენიჭათ სიგელ-დიპლომები.

2022 წლის 28 სექტემბერს ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასა“ და სსიპ ,,საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს“ შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ დირექტორმა ნათია ფიფიამ და სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრისა“ და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა მოაწერა. N1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას ესწრებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები კონსტანტინე კაკავა და მაიზერ ნანავა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები. მემორანდუმი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების განვითარების და ევროპული სტანდარტების შესაბამისად მომუშავე პროფესიული კადრების მომზადების ხელშეწყობას. მემორანდუმის ფარგლებში, დაგეგმილია აქტიური ურთიერთანამშრომლობა, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს ჩამოუყალიბდეთ სწორი პროფესიული ორიენტაცია

პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებზე. აგრეთვე, ხელი შეეწყობა მოსწავლეთა განვითარებასა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი წარმოადგენს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრს, ცენტრალური ბიბლიოთეკა სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან, ამერიკულ კუთხესთან ერთად ეწეოდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წიგნითა და ინფორმაციულ მომსახურებას. ამ მიზნით 2022 წლის ცხრა თვეში სხვადასხვა საქმიანობები განხორციელდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2022 წელს დაფინანსდა 700 000 ლარით. შეძენილ იქნა 460 ნცალი წიგნი, თანხით 4532, 63 ლარის, არველაძეების ფონდის მხარდაჭერით გამოყოფილი ვაუჩერით ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ მიიღო 74 ცალი წიგნი, 903 ლარის, საჩუქრად შემოვიდა 709 ცალი წიგნი 3300.95 ლარის.

2022 წლის 9 თვეში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის სტრუქტურები მოემსახურნენ - 6 857 მკითხველს/მომხმარებელს, მათზე გაიცა - 52 169 ცალი წიგნი და ინფორმაცია, დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა - 51 510 .

ქვეყნის დიდ ბიბლიოთეკებთან ერთად პარტნიორული თანამშრომლობით განსაკუთრებით აქტიურად იქნა გამოყენებული ციფრული კოლექციები მკითხველთა მომსახურებისთვის. განახლდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ვებგვერდი - www.zugdidilib.ge. ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას ბიბლიოთეკის სტრუქტურის, რესურსების, მომსახურებისა და სიახლეების შესახებ. ცენტრალურ ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომლის საშუალებითაც მკითხველს სახლიდან შეუძლია დაადგინოს ამა თუ იმ წიგნის შესახებ ინფორმაცია და დაჯავშნოს ის.

2022 წელს 9 თვეში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა/ ასევე მონაწილეობას იღებს ციფრული კოლექციების შექმნაში, აგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. ეროვნული ბიბლიოთეკის მ. მამარდაშვილის სახელობის ციფრულ კოლექციებს ახალი კოლექცია „საქართველო, აშშ. ევროპა და დემოკრატიული ღირებულებები" დაემატა, რომელშიც ქვეკოლექციად შევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ შექმნილი ციფრული კოლექცია. მომავალში თანდათან ახალი რესურსებით გამდიდრდება.

გრძელდება პარტნიორული თანამშრომლობა კავკასიურ სახლთან, 2022 წლის თებერვალ- მარტში ჩატარდა ექვსი ონლაინ ლექცია კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის, კურსი ტრადიციულად არის ერთწლიანი, წლის ბოლოს გადაეცემათ სერთიფიკატები.

ჩატარდა სხვადასხვა სახის შემეცნებითი ღონისძიებები, ასევე, სოციალურ ქსელში ბიბლიოთეკის ფეისბუქ გვერდზე სისტემატურად თავსდებოდა საინტერესო მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციები სხვადასხვა სფეროებზე, როგორც წიგნებიდან ასევე ადგილობრივ გაზეთ ,,მებრძოლის“ მიხედვით.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხორციელდება პროექტი - ბიბლიოპოდკასტი, სადაც მკითხველებს პერიოდულად ესაუბრებიან საინტერესო ადამიანები, მწერლები: ზვიად

კვარაცხელია, ერეკლე დეისაძე, გვანცა ჯობავა და სხვა. საუბრებს უძღვება მკითხველი მარიამ ლაგვილავა.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შეუერთდა უკრაინული ქალაქებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის აქციას. ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის საქალაქო და სასოფლო ფილიალებში ამ აქციისათვის შეგროვდა პირველადი მოხმარების სხვადასხვა ნივთები. აქციას შეუერთდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებმაც უკრაინელ ახალგაზრდებს სასაჩუქრე ამანათები გაუგზავნეს.

ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ამერიკულ კუთხეში ახალგაზრდებისთვის იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის ანიგრეტ პლონტკე - ლუნინგის საჯარო ლექცია გაიმართა. ლექცია ლესალეს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას და არქეოლოგიაში ევროპულ გამოცდილებას მიეძღვნა. ერფურტის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტის მექანიკური ინჟინერიის სტუდენტი ერიკ გართმანი ახალგაზრდებს არქეოლოგიურ კვლევებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ესაუბრა.

მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა ,,ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღე, როგორც ცენტრალურ ბიბლიოთეკასი ასევე საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკებში.

პროექტის ფარგლებში 4 ივლისი-8 ივლისს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საზაფხულო სკოლა „ბიბლიოზაფხული“ შედგა. საზაფხულო სკოლა „ბიბლიოზაფხულის“ პედაგოგები მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში საბიბლიოთეკო პიკნიკი შედგა. პიკნიკის ფარგლებში თსუ-ს პროფესორმა, ისტორიის დოქტორმა ზაალ გოგენიამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე - მსოფლიო XX საუკუნეში, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე საინტერესო და სახალისო ამბებს.

სალომე დადიანისა და აშილ მიურატის შთამომავალი მატილდა მიურატი ახალგაზრდებს ესაუბრა ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებზე. დაანონსდა მსურველთათვის ფრანგული ენის სწავლება.

წიგნის მოყვარული ახალგაზრდების ჯგუფ B612-ის მიერ განხორციელდა ექსკლუზიური მასშტაბური ლიტერატურული თამაში - „დაიხსენ ქაჯთაგან ასული“, რომელიც სავსეა საინტერესო სათავგადასავლო გამოწვევებით. თამაშის ელემენტები აღებულია შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

დღის განმავლობაში წარმოდგენილი იყო ახალი წიგნების გამოფენა. ღია ცის ქვეშ ნებისმიერ მსურველს შეეძლო ესარგებლა ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით.

პირველად ზუგდიდში ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა ბუკინისტური წიგნების გამოფენა - გაყიდვას ღია ცის ქვეშ. ამერიკული კუთხე აქტიურად ატარებდა სხვადასხვა აქტივობებს ბავშვებისათვის, ახალგაზდებისათვის, ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ინიციატივით განხორციელდა პროექტი - თემის ბიბლიოთეკები წიგნიერებისთვის.

- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

2022 წელს სამსახურმა პროგრამებში დანერგა გარკვეული სიახლეები და განახორციელა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- აბილიტაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციერების რაოდენობის ლიმიტი გაიზარდა 105-მდე;
- ამოქმედდა PET/კტ კვლევის თანადაფინანსების ქვეპროგრამა ;
- ონკოპაციენტებისთვის ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსების ლიმიტი გაიზარდა 400 ლარამდე ;
- მოწყვლადი ჯგუფებისა და უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორთით შეღავათიანი მგზავრობის პროგრამა;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე განსახორციელებელი აქტივობებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხა საინფორმაციო კამპანიისთვის 5 000 ლარის ოდენობით.
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ასაშენებელი მცირეფართიანი სახლების პროექტი შეიცვალა, გაიზარდა გაბარიტული ზომები და ასევე გაიზარდა სახოვრებელი სახლების რეაბილიტაციის თანხა.
- ფუნქციონირება დაიწყო „ქალთა ოთახის“ სივრცემ, რომელიც ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მუშაობს. ამ პერიოდში 100 ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია სხვადასხვა მიმართულებით: საგრანტო პროექტები, საგრანტო განაცხადების შევსება, დასაქმება, პროფესიული გადამზადება, რეფერირება შესაბამის უწყებებთან და სხვა.
- მუნიციპალური პროგრამის სახით, სოციალურ საცხოვირსთთან ამოქმედდა ხანდაზმულთა დღის ცენტრი.
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაში, ერთ ბავშვზე გათვალისწინებული თანხის ოდენობა 30-დან 50 ლარამდე გაიზარდა;
- მ/წელს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება მერიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყო საჭიროებათა კვლევაში (გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ერთობლივი პროექტი ,,საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვებზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“). მომზადდა ანგარიში, რომლის განხილვაც მოხდება უახლოეს დღეებში და შემდგომ, საბოლოო ვერსია რეკომენდაციებით წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს.
    - სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება

საანგარიშო პეირიოდში სოციალური პროგრამებით ისარგებლა 4 819 ბენეფიციარმა, რაზეც გაიხარჯა 1 485 000 ლარი, რომელიც პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა: -ამ პერიოდში 280 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად, უფასო სასადილო ქალაქში-სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე 413 ოჯახმა (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღო საკვები პროდუქტების პაკეტები ერთჯერადად რისთვისაც გაიხარჯა 240 000 (ორასორმოცი ათასი) ლარი.
- ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 41 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი, კერძოდ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირისთვის ყოველთვიური სუბსიდია -1 806 (ერთი ათას რვაასექვსი) ლარი და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების პენსიაზე დანამატი 200 (ორასი) ლარი, ომის მონაწილის გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯებისთვის 300 (სამასი) ლარი.
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 364 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 97 000 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი, კერძოდ : მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე – 300 ლარი და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ( სარეიტინგო ქულა 65001–ზე ნაკლები) – 200 ლარი; ტყუპის შეძენისას – 500 ლარი ; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით; მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება - 50 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე ოდენობით.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვისა პროგრამა: ისარგებლა 821 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 215 000 (ორას თხუთმეტი ათასი) ლარი, კერძოდ: 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი, სმენა და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური გადასახედების თანადაფინანსებისთვის ფულადი დახმარება 25-25 ლარი 4 თვის მანძილზე. შშმ პირებს (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები), მოვლის საჭიროების მქონე პირთა დაფინანსება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარი.
- მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 294 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 59 000 (ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი. მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით.
- ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 154 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 20 000 (ოცი ათასი) ლარი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი 500 - ლარიანი დახმარება, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები)

ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი. მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულებს მიეწოდათ შინმოვლის სერვისი.

- სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა ბიუჯეტი: გახარჯულია 84 000 (ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი - მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა – ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით მიიღო 500 ოჯახმა. შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა
- ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა: ისარგებლა 185 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 72 000 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარი. კერძოდ: ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება: თითოეულს თვეში 50 - 100 ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონიალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში თითოეულს - 200 (ორასი) ლარი; სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარი; სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწირო პროგრამა - დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.
- სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა: ისარგებლა 285 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 172 000 (ასსამოცდათორმეტი ათასი) ლარი, კერძოდ: ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). მეწყერის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე - 500 ლარი. უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ( სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ბინის ქირით უზრუნველყოფა- თითოეულ ოჯახზე 100 ლარი ყოველთვიურად.
- დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 344 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 34 000 (ოცდათოთხმეტი ათასი) ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარი წელიწადში ერთხელ.
- სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 1 116 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 239 000 (ორას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი, კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები) კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარით ოთხი თვის განმავლობაში; ბუნებრივი აირის შეყვანა ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35000;

განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი-ხუთასი) ლარის ფარგლებში.

- სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა: პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას პროექტებში,ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დებულების შესაბამისად (თითო პროექტზე არაუმეტეს 5000 ლარისა) საანგარიშო პერიოდში 8 პროექტის თანადაფინანსებისთვის გაიხარჯა 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

- პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ -საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახისთვის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად გაიხარჯა 1 400 (ერთი ათას ოთხასი) ლარი. კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერა.
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა: გაიხარჯა 195 000 (ასოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი - 2021 წლის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ერთი თბილი ოთახის მოწყობაზე.

## o ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 4 767 მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში დაუფინანსდათ 1 451 200.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება გაეწია 620 მოქალაქეს ( 152 000.00 ლარი);
- სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება/ დაფინანსება - 572 მოქალაქეს (399 000.00 ლარი);
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში ჩართულია 85 ბავშვი (374 000.00 ლარი);
- სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე 201 ბავშვს გაეწია სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება (77 000.00 ლარი);
- იშვიათი დაავადებების (ცელიაკია /ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრონველყოფის ქვეპროგრამით ისარგებლა 12 მოქალაქემ (თითოეულზე ყოველთვიურად: მუკოვისციდოზი-500 ლარი; ფენილკეტონურიია-500 ლარი; ცელიაკია -250 ლარი)- ჯამში ქვეპროგრამაზე გაიხარჯა 42 000.00 ლარი.

- ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება - 1 643 მოქალაქე (259 000.00 ლარი) .
- პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა შესაძენი თანხით უზრუნველყოფა ( ყოველთვიურად 200 ლარი) ისარგებლა 7 მოქალაქემ ( 7 600.00 ლარი).
- კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება - თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 ) ლარი წელიწადში ერთხელ. ისარგებლა 1 ბავშვმა (15 000.00 ლარი).
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებებით, (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსებაზე ისარგებლა 8 მოქალაქემ (1 600.00 ლარი).
- 18 წელს ზემოთ შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობაზე, ისარგებლა 5-მა მოქალაქემ (2000.00 ლარი).
- პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიაზე, თანადაფინანსება გაეწია 10 მოქალაქეს (10 000.00 ლარი).
- ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა-ისარგებლა 320 მოქალაქემ (თითოეულს ერთჯერადად 200 ლარი) - 64 000.00 ლარი.
- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაში ჩაერთო 1 283 მოქალაქე (48 000.00 ლარი).

განყოფილება აქტიურად მუშაობს არსებული პროგრამების დახვეწასა და ჯანმრთელობის კუთხით გამოწვევების ინიცირებაზე.

### o ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2020 წლის 1 სექტემბრიდან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამ მიმართულების მუნიციპალური პროგრამები. ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ ინტენსიურად ხორციელდება ვიზიტები სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ოჯახებში. მიმდინარე ქეისების რაოდენობა შეადგენს 34-ს. საანგარიშო პერიოდში დაფინანსება გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა: ისარგებლა 50 ბენეფიციარმა (20 ოჯახი)- გახარჯულია 10 400 ლარი. მ/წლის სექტემბრიდან თითოეულ ბავშვზე გათვალისწინებული თანხის ოდენობა 30-დან 50 ლარამდე გაიზარდა.

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა: ქვეპროგრამის ფარგლებში აღინიშნა დაუნის სინდრომის (21 მარტი), აუტიზმის ცნობადობის ამაღლების (2 აპრილი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი), ასევე 17 აგვისტოს ანაკლიის აკვაპარკში 40 ბავშვისთვის მოეწყო გასართობი ღონისძიება, რისთვისაც გახარჯულია სულ - 2 400 ლარი.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა: აქვა-თერაპიის მომსახურებით ისარგებლა 13 ბავშვმა, რაზეც გახარჯულია 11 400 ლარი.

- **ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“**

2022 წლის 9 თვის საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 15 582 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საეჭვო 104 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 24-ს, მგბ(–) 19-ს, ტუბრკულოზის ინფექციის კერებში 98 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

2022 წლის 9 თვის განმავლობაში რეგისტრირდა ცხოველების მიერ დაკბენილ და დადორბვლის 1 973 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 11 პირი, სხვა რაიონში მცხოვრები 215 პირი. მათ დაენიშნათ ანტირაბიული მკურნალობა . ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 481 პირს, პირობითი 1 366 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების გამო 200–მა პირმა.

,,დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა ,,ბ'' ჰეპატიტის, აივ-ინფექციას, სიფილისსა და ც ჰეპატიტზე, სულ ამ პერიოდის განმავლობაში გამოკვლეულია 558 ორსული. ტესტირებით ,,ბ“ ჰეპატიტზე დადებითი გამოვლინდა 7 შემთხვევაში, რომელთა ბიოლოგიური მასალა კომფირმაციული კვლევისთვის გადაგზავნილ იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში. ( აივ-ინფექციაზე- 0 და ც ჰეპატიტზე -0.)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ ,,პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 63 მონიტორინგი წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 29 საექიმო ამბულატორიაში და 3 სამედიცინო დაწესებულებაში .

Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დაგეგმვისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ №01/11 ბრძანების შესაბამისად სს ,,ევექსის ჰოსპიტლები ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში'' შპს ,,ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის რუხის ფილიალში'', სს ,,ევექსის კლინიკების - ზუგდიდის პოლიკლინიკაში'', შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკაში“, ააიპ,,ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში 01.01.2022 წლიდან 30.09.2022 წლამდე ჩატარდა 11 048 COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მ.შ (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 4 490).

საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 8 598 გეგმიური აცრა. ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 483 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 495-ს, იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა 6 დაავადების საწინააღმდეგო) ჩატარდა 1 709 აცრა, ტეტრაქსიმით (18 თვ;5 წლის ასაკში 1 333), წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1,2

დოზით აიცრა 1 324 ბავშვი, როტა 1,2 დოზით- 882 , პნევმოკოკი-1 641, ტდ ვაქცინით 314, აპვ ვაქცინით-417 .

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2022 წლის 9 თვის პერიოდში მიღებულ იქნა 1 946 155, 70 ლარის და გაცემული იქნა 2 033 946, 51 ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.

2022 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა მონიტორინგი 98 საბავშვო ბაღში, მათ შორის 20 კერძო ბაღში. მონიტორინგის დროს 46 სახელმწიფო და 14 კერძო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევები შესახებ ეცნობა ა.(ა).ი.პ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა 454 მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით: სასწავლო დაწესებულებაში - 36; სამედიცინო დაწესებულებაში - 47; სახელმწიფო სტრუქტურაში- 26; კაფე/ბარი - 31; რესტორანი-17; სასტუმროში -25; კინო/თეატრში 9; სილამაზის სალონში -31; მედია ორგანიზაციაში - 8; სავაჭრო ობიექტებიში - 170; ტრანსპორტი - 45; გარე რეკლამა-9. მონიტორინგი ხორციელდება დამტკიცებული კითხვარის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური კაბინეტების სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 45 კაბინეტში, სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლების მხრიდან რჩევებისა დარეკომენდაციების გათვალისწინებით სასტერილიზაციო ოთახის მოწყობას საჭიროებს 5 კაბინეტი , სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს 2 კაბინეტში, 5 კაბინეტში სრულად არის განახლებული ინვენტარი, ხოლო დარღვევები გამოვლინდა 6 სტომატოლოგიურ კაბინეტში.

პირველად ჯანდაცვაში C- ჰეპატიტის, აივ შიდსის და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის პროგრამის ფარგლებში ოჯახის ექიმების, სამედიცინო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჯამურად სკრინინგი ჩაუტარდა 4 498 ბენეფიციარს, მათ შორის C- ჰეპატიტზე დადებითია 10.

ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიულად კვლევა ჩაუტარდა ბაღების 2 048 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 96 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკველეულთა 4,08 %-ს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა პირველ კვარტალში განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩაუტარდა 122 ბიზნესოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად იყო დაცული 94 შემთხვევაში, არასრულად 28-ში, მათ მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გადამოწმებით მდგომარეობა გამოსწორებულია.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულების ,,კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესამბამსად, 2022 წლის 9 თვის განმავლობაში ცენტრის მიერ ტესტირება ჩატარებულ იქნა 97 323 პირზე, ამ პერიოდში გამოვლენილი იქნა 12 929 კოვიდინფიცირებული პირი, რომლებზეც დამყარდა აქტიური ზედამხედველობა და წარმოებდა კონტაქტირებული პირების დადგენა იზოლაციური ღონისძიებების შეფარდების და დიაგნოსტირების მიზნით. მ.შ გარდაიცვალა 50 პირი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის 322 დადგენილების ,,იზოლაციისა და კარანტინის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 21 876 იზოლაციაში მყოფ პირზე განხორციელდა ეპიდზედამხედველობა.

2022 წელს 9 თვის განმავლობაში ცენტრში შემოვიდა ჯამში 512 კორესპონდენცია დავალებების შესასრულებლად, შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად, ასევე ინფორმაციის სახით მისაღებად, ამავე პერიოდში ცენტრში მომზადდა და გადაიგზავნა 270 წერილი.

ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მუნიციპალური პროგრამის 060101 კოდით შეასრულა 272 659,27 ლარის, მუნიციპალური პროგრამის 060102 კოდით 8 484,25 ლარის, ხოლო საკუთარი სახსრებით 756 326,68 ლარის სამუშაოები.

- **ზედამხედველობის სამსახური**

**საორგანიზაციო განყოფილება**

საანგარიშო პერიოდისათვის მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე შედგა ინფორმაციული ელექტრონული ბაზა, სადაც რეგისტრირებული ხელშეკრულებების რაოდენობაა 111 (ასთერთმეტი). აქედან: დასრულებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 69 (სამოცდაცხრა).

განხილულ იქნა და მომზადდა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია და გადაეგზავნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს; მათ შორის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხების წინასწარი ანაზღაურების მიზნით საჭირო დოკუმენტაცია;

აყვანილ იქნა კონტროლზე აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი ვადები. ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგა სათანადო დოკუმენტაცია და მასალა გადაეგზავნა იურიდიულ განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის (მათ შორის შესაწყვეტ ხელშეკრულებებზე;

აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის), რის შემდეგაც განხორციელდა საჭირო პროცედურები. ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 547692,16 (ხუთასორმოცდაშვიდი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი ლარი და 16 თეთრი) ლარი;

აყვანილ იქნა კონტროლზე ყველა ხელშეკრულების მოქმედების ვადები. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში, ვადის გაგრძელებაზე ეცნობა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს;

განხილულ იქნა და მომზადდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში და ხელშეკრულებებში საჭირო ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციები;

აღნიშნული პერიოდისათვის საორგანიზაციო განყოფილებაში ყველა შემოსულ კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სხვადასხვა სამსახურებს (მათი საჭიროების მიხედვით), ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; აგრეთვე დაფინანსების წყაროების მიხედვით დარჩენილი ნაშთის (სახელშეკრულებო ღირებულებასა და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა) შესახებ.

**სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება**

საანგარიშო პერიოდში სამშენებლო ინსპექტირების განყოფილების მიერ ინსპექტირებული ობიექტების რაოდენობაა აღნიშნული პერიოდისათვის სულ 111 (ასცამეტი), აქედან დასრულებულია 69 (სამოცდაცხრა), მიმდინარე - 42 (ორმოცდაორი) და შედგა ინსპექტირების ჯგუფის აქტები (შუალედური/საბოლოო).

სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირებული ვადების დარღვევისათვის და აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შედგა სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს და შემდეგად ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 547692,16 (ხუთასორმოცდაშვიდი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი ლარი და 16 თეთრი) ლარი;

განხილულ იქნა ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე;

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში (საგარანტიო პერიოდი), ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ჩატარდა საჭირო პროცედურები;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის შუალედურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი);

მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ყველა მშენებლობადამთავრებული ობიექტი, რომელთა რაოდენობა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენს 70-ზე მეტს;

განყოფილებაში შემოსულ ყველა კორესპონდენციას გაეცა სათანადო პასუხი.

## რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება

2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებამ სულ გამოავლინა 75 (სამოცდათხუთმეტი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. ცხოველთა პოპულაციის მართვის ცენტრ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების საფუძველზე გაყვანილ იქნა ცხოველთა თავშესაფარში 281 (ორას ოთხმოცდაერთი) მიუსაფარი და უპატრონო ძაღლი მათი შემდგომი კასტრაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბირკვის და შემდეგ თავისუფალ არეალში დაბრუნების მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „მონადირეებთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გარემოდან ჩასაფრების წესით ამოღებულია მგლის 5 და ტურის 10 ინდივიდი.

ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

2022 წლის 01 ნოემბრიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებაში შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხი.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე.

- **ადმინისტრაციული სამსახური**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა რჩება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

2022 წელს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების მიერ სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, როგორც მიმდინარე და განხორიცელებულ პროექტებზე, ასევე, იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომლითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ. მერიის აქტივობები ქვეყნდება სააგენტოებზე და შუქდება ტელევიზიით.

მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია /City Hall of Zugdidi Municipality თავისი აქტივობებით, როგორც სიახლეების განთავსების თვალსაზრისით ასევე, მოქალაქეთა ჩართულობით და მათ კითხვებზე ოპერატილი რეაგირებით მოწინავე პოზიციაზეა google analytics ბაზაზე. აქვე, გვერდი პასუხობს

მომხმარებლის დაინტერესებას, რაც აისახება მისი გამომწერების რაოდენობის ყოველდღიურ ზრდაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება ასევე უზრუნველყოფს ვებ. გვერდის მეშვეობით მოქალაქეთა ინფორმირებულობას, ჩართულობას მუნიციპალურ სერვისებზე. ვებ. გვერდი www.zugdidi.gov.ge ორენოვანი პლატფორმაა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს როგორც ვებ-გვერდის, ისე ინგლისურენოვანი ბაზის საინფორმაციო შევსება-განახლება.

პერიოდულად მზადდება საიმიჯო ვიდეორგოლები, რომელიც განთავსებულია, როგორც მერიის გვერდზე, ასევე ქალაქის მთავარ მონიტორზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სიახლეები ასევე ოპერატიულად ქვეყნდება ოფიციალურ ინსტაგრამ გვერდზე იხ.ბმული (shorturl.at/fiyV2).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოვიდა-15 085 კორესპონდენცია, მერიიდან გასული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა-14 450. ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილებამ უზრუნველყო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა უწყებებსა და ორგანიზაციებში. მათ მიერ 2021 წლის 1 ნოემბრიდან 2022 წლის 18 ოქტომბრამდე მომზადდა პასუხი 163 წერილზე აქედან 139 წერილი ეხებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში გაცემას.

განყოფილების მიერ განხორციელდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ჩასატარებელი დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების, პროცედურული საკითხების ორგანიზება.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან პერიოდულად ხდება გეოლოგთა ჯგუფის გამოძახება დაზიანებული სახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მიმდინარე წელს შემოწმდა 30 ოჯახი აქედან 30-ვეს მიენიჭა შესაბამისი კატეგორია, მათ შორის 6 ოჯახს პირველი კატეგორია.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების (მერის ბრძანებების) რაოდენობა 2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის 01 ნოემბრამდე შეადგენს 2152 (ორი ათას ასორმოცდათორმეტი) სამართლებრივ აქტს.

2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის 01 ნოემბრამდე მერიაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი 17 ვაკანტურ პოზიციაზე, აქედან 13 ღია კონკურსის წესით, 2 შიდა კონკურსის და 2 დახურული კონკურსის წესით.

2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის 01 ნოემბრამდე სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები გაიარა 137 (ასოცდაჩვიდმეტი) მოხელემ მათ შორის სასწავლო გეგმით დამტკიცებული საბაზისო (სავალდებულო) ტრენინგები ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“ 3 (სამი) ახალდანიშნულმა საჯარო მოხელემ; დამატებითი ტრენინგები ,,რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში“ 5 (ხუთი) მოხელემ; ,,საჯარო სექტორის ბუღატრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“ 3 (სამი) საჯარო მოხელემ; „კეთილსინდისიერება და ინტერესთა კონფლიქტი საჯარო სამსახურში“ 9 (ცხრა) სამსახურის უფროსმა; „უნებართვოდ აშენებული ობიექტების მართვის წესი და პირობები“ 10 (ათი) საჯარო მოხელემ, ამასთან ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აქტიურად

თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ტრენინგ-ცენტრებთან, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან და მათი მხარდაჭერით სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, კერძოდ საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით ,, მოხელის როლი და ღირებულებები საჯარო სამსახურში"; პირველი და მეორე რანგის მოხელეებისთვის: ,,ლიდერობა და მართვა საჯარო სამსახურში"; საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) - ს მხარდაჭერით ,,ბავშვთა უფლებები"; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით: ,,საჯარო სექტორის (სსბასს) საფუძველზე ფინანსური აღრიხვა-ანგარიშგების წარმოება; სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება; ფინანსური ანგარიშგების შედგენა"; USAID -ის მხარდაჭერით: ,,კიბერუსაფრთხოების სასწავლო კურსი" ; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და UNDP მხარდაჭერით ,,მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დანერგვა"; პოლიტიკის მართვის კოსნალტინგ ჯგუფის - PMCG მხარდაჭერით ,, მყარი ნარჩენების მართვაში PMS ვებ აპლიკაციის დანერგვა"; პოლონეთის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს მხარდაჭერით ,,საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მეწარმეობის განვითარება" კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის მხარდაჭერით ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავება" და სხვ.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ შემუშავდა პროექტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 დეკემბრის №ბ24.24213553 ბრძანებით დამტკიცდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელო.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების, პროექტების, ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობას მათი შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან, მუნიციპალიტეტის ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებთან; განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

იურიდიული განყოფილების თანამშროლები, მერიის სამსახურებისთვის მიმაგრებულები არიან დარგობრივად, უწევენ კონსულტაციას და ჩართულები არიან მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა კომისიებში, საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებში.

იურიდიული განყოფილება კონსულტაციას უწევს მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ააიპ-ის, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარება მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

განყოფილებამ 2022 წლის საანგარიშო პერიოდიში მონაწილეობა მიიღო 2021 წელს დაწყებულ და 2022 წლის მიმდინარე 132 პროცესში, რომლებშიც მონაწილეობა უმეტეს შემთხვევაში დასრულდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის ნოემბრამდე განყოფილების მიერ მომზადდა სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები, მათ შორის 125 საჯარიმო დასკვნა.

იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. განყოფილების სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

2021 წლის 1 ნოემბრიდან 2022 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 287, გასული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 444, შიდა კორესპონდენციის რაოდენობა ჯამში 971, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებისა რაოდენობა 6265. ვიზა დადებული დოკუმენტები 7972.

- **ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური**

  - **ქონების მართვის განყოფილება**

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 751 განცხადება და მომართვა.

ელექტრონული აუქციონით (პირობებით) პრივატიზებული იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ერთეული უძრავი ქონება ( 75კვ.მ, 156კვ.მ, 100კვ.მ და 1005 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და 6 ერთეული მოძრავი ქონება (ავტოსატრნსპორტო საშუალება-შკოდა ოკტავია, 2 ამაროკი, კამაზი, უაზი და სუბარუ). უძრავი ქონების პრივატიზებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა 72200 ლარი, ხოლო მოძრავი ქონებიდან 84200 ლარი. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

სასყიდლიანი იჯარის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით გაფორმდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ( მიწის ნაკვეთები, ბოძის ნაწილი- წერტილები, ბანკომატი) 13 საიჯარო ხელშეკრულება ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომლთა წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს 32437 ლარს. ელექტრონული აუქციონით გაცემულ ქონებაზე გაფორმდა 3 საიჯარო ხელშეკრულება ( 18,76კვ.მ შიდა ფართზე, 280კვ.მ მიწის ნაკვეთზე და ყინულის საწმენდ მანქანაზე), წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს 38548 ლარს. სულ საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 71005 ლარს. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

ასევე პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაეცა „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ საბავშვო ბაღების ასაშენებლად სოფ. ჭითაწყარში 7385კვ.მ, სოფ. რუხში 3277 კვ.მ არასასოფლო მიწის ნაკვეთები. ლტოლვილთა დანიის საბჭოს აღნაგობის უფლებით გადაეცა თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე 1630კვ.მ არასასოფლო მიწის ნაკვეთი ასევე იგეგმება დანიის საბჭოსათვის გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 285 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა უკრაინელი ლტოლვილებისათვის სოციალური პროექტების განსახორციელებლად და „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის სოფ. დარჩელსა და შამგონაში მდებარე

5183კვ.მ და 3040კვ.მ მიწინ ნაკვეთების  აღნაგობის უფლებით გადაცემა. 8 ფიზიკურ, იურიდიულ და არასამეწარმეო არაკომერიულ იურიდიულ პირს პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა  მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი  ქონება (მიწის ნაკვეთები და არასაცხოვრებელი ფართი ).

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში საკუთრებაში გადმოეცა 23 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით და ნაგებობების გარეშე საერთო ფართობით 51570,24კვ.მ. ასევე ძირითადი ქონების სახით  გადმოცა კედიას ქუჩის ნაწილი 275კვ.მ, ლაზის ქუჩის ნაწილი 1677კვ.მ და ბარამიას ქუჩა 20166 კვ.მ.  საქართველოს მთავრობის 2014წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხობრებ 13 მოქალაქეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს საცხოვრებელი ფართების და მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირების საკითხებზე.

- **სოფლის მეურნეობის მხარაჭერის განყოფილება**

- შემუშავდა სამუშაო გეგმა/პრიორიტეტი 2023 – 2026 წლებისთვის, რაც წარდგენილ იქნა განსახილველად;
- დებულების შესაბამისად დაიწყო ინფორმაციის მოძიება სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების მსურველთა ბაზის შესაქმნელად, კერძოდ: დაუწყებულია მერის წარმომადგენლები დაინტერესებული პირების მოძიებასა და შესაბამისი საჭირო ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე (26.07.2022 წლის N08-32422207127 წერილი); 20.09.2022 წლის მდგომარეობით დავარეგისტრირეთ 200 ;
- აქტიურად ვთანამშრომლობთ სოფლის  განვითარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ სამსახურთან სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის კუთხით, ასევე ვმონაწილეობთ სოფლებში მოსახლეობასთან გამართულ ყოველკვირეულ შეხვედრებში, სადაც ვაცნობთ დარგში მიმდინარე სიახლეებზე, გამოწვევებზე და გასატარებელ ღონისძიებებზე ინფორმაციას, ასევე სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობაზე;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ფაროსანას, ასევე სხვდასახვა კულტურებზე გავრცელებული დაავადებების და მავნებლების სასაწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, რეგიონში შექმნილი სპეციალური შტაბის მეშვეობით. განყოფილება აქტიურად თანამშრომლეობს შტაბთან, კოორდინაციას უწევს ტექნიკის გადაადგილებას, სოფლებში მერის წარმომადგენლების დახმარებით შეწამვლის არეალის სრულად მოცვას, სოფლად მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებას და შტაბთან მუნიციპალური სამსახურების კოორდირებულად მუშაობას. 23.08.2022 წლის მონაცემებით დამუშავებულია . კერძოდ: ცივი შესხურებით (სიმინდის ყანები) - 3408 ჰა; თერმული ნისლით - 8580 ჰა; მოიზიდე და მოკალის პრინციპით - 2817 ჰა.

- 15.08.2022 წელს მერიის სააქტო დარბაზში განყოფილების ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა თემაზე - ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების (თერმული ნისლი) ზეგავლენა ფუტკრის ოჯახებზე.
- 08.09.2022 წელს განყოფილების ინიციატივით მერიის სააქტო დარბაზში ჩატარდა ინფორმაციული შეხვედრა ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ რეგიონალური სამსახურის უფროს გიორგი ქვარაიასთან.

12.09.2022 წელს განყოფილება აქტიურად ჩაერთო მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაციის და პირველადი განაცხადის წარდგენის პროცესში, რაც გამოიხატება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ტექნიკური ხასიათის ხელშეწყობაში.

მეცხოველეობა/მერძევეობის პროგრამაში ჩართვაზე კონსულტაცია გაეწია 300-400 ადამიანს, დაურეგისტრირეთ პირველადი განცხადება 45 ბენეფიციარს, საიდანაც მომდევნო ეტაპზე გადავიდა 35 ბენეფიციარი. სულ ზუგდიდის მასშტაბით , პირველადი განაცხადები წარადგინა და შემდეგ ეტაპზე გავიდა 100-ზე მეტი ბენეფიციარი, რაც აქტიურობის შედეგია. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მიმართულებას, როგორიცაა რძის პირველადი წარმოება (საქონლის სადგომის მოწყობა/რემონტი/აღჭურვა); სათბურის მოწყობა; ალტერნატიული ენერგიის (მზის ენერგია) 5 კ/ვ მოცულობის და ა.შ

- აქტიურად მიმდინარეობს, სოფლის მეურნეობის დარგში, მიმდინარე საკითხებზე მუშაობა, რაც გამოიხატება სოფლებში დაკვირვება/მონიტორინგის გზით ერთწლიანი და მრავალწლიან კულტურებზე კლიმატური პირობებით გამოწვეული შედეგებზე ინფორმაციის შეგროვებაში;
- განყოფილების თანამშრომლები დებულებით და სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას ასრულებენ კომპეტენციის ფარგლებში.

-

- **ტრანსპორტის განყოფილება**

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყო **150.0** ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ტრანსპორტის განყოფილებამ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისა და შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად განისაზღვრა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის განთავსების ლოკაციები. სულ განისაზღვრა 169 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა, მათ შორის: „ა“ ტიპის-83 ერთეული, „ბ“ ტიპის -45 ერთეული და „გ“ ტიპის- 41 ერთეული.

აღნიშნული კამერების შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ტრანსპორტის განყოფილებამ ჩაატარა ბაზრის კვლევა, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეტყობინება ბაზრის კვლევის თაობაზე ელ. ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა რამოდენიმე პოტენციურ მომწოდებელს, აღნიშნული ტენდერით დაინტერესება გამოხატა

სამმა პრეტენდენტმა, მომსახურების შესყიდვაზე მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია, გამარჯვებული კომპანიის გამოსავლენად გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც მთავრდება 2022 წლის 18 ოქტომბერს.

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე შემოსულია 1298 განცხადება, განხილული და ადგილზე შესწავლილია ყოველი კონკრეტული მოთხოვნა.

მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი (ე.წ „ბორცვი“) და შესაბამისი საგზაო ნიშნები განთავსდა ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციული საზღვრებში.

მოსახლობის განცხადებების საფუძველზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების განთავსებაზე დარჩენილი სამუშაოების შესრულება გაგრძელდება ეტაპობრივად.

განხორციელებულია 42 950 ათასი ლარის წრისა და საგზაო მოძრაობის მართვის სისტემის (საგზაო ზოლის გამყოფი ბარიერის) შესყიდვა, რაც მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში განთავსდა კონკრეტულ ლოკაციაზე (რუსთაველის ქუჩა, ბაზრისა და ალიანსის. მიმდებარე ტერიტორია),

საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე დასმულია საკითხი საერთაშორისო და შიდასასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არსებული ქვეითთა გადასასვლელების, ე.წ ,,ზებრა“ მონიშვნების მოწყობის ან/და აღდგენის შესახებ. ამ კუთხით გარკვეული სამუშაოები გატარდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშა პროცესი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პერიოდულად ვახორციელებთ საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დამატებასა და განახლებას.

ზუგდიდის მუნციიპალიტეტის 98 ლოკაციაზე განხორციელდა პარკირების მოსაწესრიგებლად გარკვეული სამუშაოები და განისაზღვრა შესაძენი საგზაო ნიშნების რაოდენობა, რაც ტენდერის საფუძველზე უახლოეს პერიოდში იქნება შეძენილი.

ასევე, ტენდერების საფუძველზე წლის ბოლომდე დამატებით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, საავტომობილო გზების ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის (ბორცვი) შეძენა, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას.

- **საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრს (REC Caucasus) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების გაფრქვევების შემზღუდავი, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ სტიქიურ მოვლენებთან საადაპტაციო და მდგრადი ენერგეტიკის ხელშემწყობი საქმიანობის დაგეგმვის და მონიტორინგში მდგრადი მომავლის უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი ატრენინგებს მერიის მიერ დასახელებულ თანამშრომლებს კლიმატის სფეროში არსებული ანგარიშგების სისტემის შესახებ , მათ შორის მდგრადი

ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების მომზადებასა და ანგარიშგების წესთან და ტექნიკასთან დაკავშირებით.

2021 წლის მარტი- დაიწყო საქართველო-პოლონეთის ერთობლივი პროექტის განხორციელება **“ საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“.** პროექტის დონორი: პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. აღნიშნული პროექტი სამი წლიანია (2021-2023 წწ) და მოიცავს როგორც პრაქტიკულ ასევე სასწავლო ვიზიტებს პოლონეთის რესპუბლიკაში. პირველი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 26-30 ივლისს პოლონეთის ქალაქ ვარშავასა და გდანსკში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სასწავლო ვიზიტში მონაწილეობას იღებდა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი ლექსო თოდუა. ასევე სასწავლო ვიზიტში პოლონეთში მონაწილეობა მიიღო კონსტანტინე კაკავამ. გრძელდება ღონისძიებები და სასწავლო ვიზიტები, დაგეგმილია საინვესტიციო ფორუმი 2022 წლის ოქტომბერში, კახეთში. დასკვნითი ვიზიტი ვარშავაში 2022 წლის დეკემბერში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში პროექტს კოორდინაციას უწევს საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მონაწილეობას იღებდა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ “ EU4CULTURE” -საგრანტო კონკურსში, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს ქალაქებს, კულტურის განვითარების იმ სტრატეგიების მომზადებაში, რომლებიც ევროპული კულტურული დედაქალაქების მიდგომებს შეესაბამება. კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდა სულ 5 (ხუთი) ქალაქი: ზუგდიდი ახალციხე, ფოთი, თელავი და ქუთაისი. შერჩეულ ქალაქებს სრული საკონკურსო განაცხადის მოსამზადებლად გადაეცათ გრანტი 1000 (ათასი) ევროს ოდენობით. კონკურსის მომდევნო ეტაპზე გავიდა სამი ქალაქი: ზუგდიდი, ქუთაისი და ფოთი. მათ გადაეცათ 30 000 (ოცდაათი ათასი ) ევროს ოდენობის გრანტი, კულტურის განვითარების სტრატეგიის სრული ვერსიის მოსამზადებლად. აღნიშნული საპროექტო განაცხადი მომზადებულია საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ.

2022 წლის იანვრიდან-30 მაისის ჩათვლით საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება მუშაობდა „კულტურის განვითარების სტრატეგიის შექმნაზე“ : ჩატარდა 50 -მდე თემატური და სექტორული შეხვედრები; შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ჩატარდა მიზნობრივი და თემატური კვლევები; 2022 წლის თებერვალში გაიმართა კულტურის განვითარების სტრატეგიის პირველადი დოკუმენტის კონცეფციის პრეზენტაცია და საჯარო განხილვა; 2022 წლის მარტში ჩატარდა კონკურსი იდეათონი; 2022 წლის სექტემბერში ზუგდიდი ევროკავშირის EU4CULTURE პროექტის ფარგლებში გამარჯვებულ ქალაქად დასახელდა და მას გრანტის სახით 300 000 ევრო გადაეცემა სტრატეგიის განხორციელებისთვის. 2022 წლის იანვარში „განახლებადი ენერგიის ინსტიტუტი“ (IEO)-მა დაიწყო UNIDO-ს პროექტი „საქართველოს რეგიონებისა და თემების გადასვლა მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ –„მზის ფოტოელექტრული (PV) სისტემები საქართველოს ქალაქებისთვის“ . ეს არის გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) პროექტი, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტის მიზანია მზის ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა და მზის ფოტოელექტრული (PV)

სისტემების დანერგვა მუნიციპალურ ეკონომიკის დონეზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შერჩეულია 5 საზოგადოებრივი შენობა, რომელზეც მიმდინარეობს ტექნიკური კვლევა პოლონელი ექსპერტების მიერ. პროექტი ფოკუსირებულია PV ინვესტიციების განხორციელების საპროექტო ფაზის მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პროექტს კოორდინაციას უწევს საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება.

ნომინაციების მომზადება და ქალაქის წარდგენა საერთაშორისო პოზიციონირების კუთხით: (UNESCO-ს შემოქმედებითი გასტრონომიული ქალაქის (UNESCO Creative City of Gastronomy) სტატუსის მისაღებად; ზუგდიდის გაწევრიანება ტრადიციული რეწვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში (UNESCO-ს ხელნაკეთობებისა და ხალხური ხელოვნების ქალაქი - UNESCO City of Crafts and Folk Art; ტრადიციული რეწვის მსოფლიო საბჭო - World Crafts Council, Crafting Europe და სხვა).

- **მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება**

1. მუნიციპალური სერვისები:

*1) გაზიფიკაცია*

*ა)* ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სრულად გაზიფიცირებულია: ქალაქის და 48 ადმინისტრაციული ერთეულიდან - 41 ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა. არ არის გაზიფიცირებული - 7 ადმინისტრაციული ერთეული: მათ შორის - 3 ადმ ერთეულში (ჯიხაშკარის, ყულიშკარის და ალერტკარის) საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენის ქსელის სამშენებლო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე. 2 ადმ. ერთეულში (დიდინეძი, ორულუ) დასრულებულია გაზმომარაგების დაპროექტება. 2 ადმ. ერთეულის გაზმომარაგების დაპროექტება დაწყებულია (ცვანე, ერგეტა).

*გ) შუმადგომლობაზე წერილები:*

*სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას* - საქართველს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, გაზიფიცირების გარეშე დარჩენილი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების: ორულუს და დიდინეძის გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოების დაწყების, აგრეთვე, ერგეტას და ცვანეს გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოების დაპროექტებასთან დაკავშირებით.

*შპს. „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“* - ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენის ქსელის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარე პროექტში, ადგილობრივი თხილის მწარმოებელი ორგანიზაცია - შპს. „მიშო“-ს (ს/ნ 420001928) თხოვნის გათვალისწინებაზე.

*გ) ობიექტების დაერთებებზე - მომზადდა დოკუმენტაცია და შესყიდულ იქნა მომსახურეობა შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“-დან - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გაზიფიცირების გარე და შიდა ქსელის მოწყობაზე.*

*2) ელ. მომარაგება*

*ა) ობიექტების დაერთებებზე -*

*მომზადდა დოკუმენტაციები და შესყიდულ იქნა მიერთების მომსახურეობები სს. „ენერგო პრო ჯორჯია“-დან ობიექტების ელ. მომარაგებასთან (დაერთება) დაკავშირებით.*

ბ) *წერილები ს.ს. ,,ენერგო-პრო ჯორჯია“:*

1. ამორტიზირებული ელ. მომარაგების ბოძების შეცვლაზე.
2. ამორტიზირებული მაღალი ძაბვის ელ.მომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
3. ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ცალკეული უბნის მოსახლეობის ელ. მომარაგების, ელ. ტრანსფორმატორების სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებით რეაბილიტაციაზე .
4. მიმდინარე მუნიციპალური პროექტით განსახორციელებელი, სანიაღვრე არხების მოსაწყობ ტერიტორიაზე განთავსებული ელ. მომარაგების ბოძების გვერდზე გადატანაზე.
5. *შუამდგომლობა ს.ს. ,,ენერგო პრო ჯორჯია“-სთან* - ანაკლია, ზღვისპირა ტერიტორიაზე არსებული ი/მეწარმეების სარგებლობაში არსებული ობიექტების დროებითი (4 თვით საკურორტო სეზონის განმავლობაში) ელ. მომარაგებაზე.

*3) წყალმომარაგება*

*ა) ობიექტებს დაერთებებზე -*

*მომზადა დოკუმენტაციები და შესყიდულ იქნა მიერთების მოსახურეობები შპს. ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-დან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების - წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებთან მიერთებებთან დაკავშირებით.*

*ბ) წერილები შუამდგომლობაზე შპს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას - მოქალაქეების განცხადებაზე, ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემიდან წყალმომარაგებაზე (4 განცხადება)*

*4) განცხადებები რეგირებაზე („კეთილმოწყობას“; „ზუგდიდდსუფთავებას“)*

- *აიპ. „კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“-:* გარე განათების სისტემების(ნათურების, სადენების, ბოძების და ა.შ) რეაბილიტაციაზე - 23 განცხადება; საავტომობილო და შიდა საუბნო გზების მოწესრიგებაზე -14 განცხადდეება; სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოებზე -36 განცხადება; მოთიბვითი სამუშაოების ჩატარებაზე - 16 გაცხადება;

- *აიპ. ,,ზუგდიდსასუფთავება“ -ს:*

- ქ.ზუგდიდი მეუნარგიას ქ.N6-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლი“-ს მიმდებარედ ნაგვის ურნის განთავსებაზე.
- ქ. ზუგდიდი ყუფუნიას ქუჩაზე მდებარე N4 სასაფლაოს ტერიტორიაზე 2 ერთეული ნაგავშემკრები ურნის განთავსებაზე.
- ქ. ზუგდიდი გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე სამშენებლო ნარჩენებისგან წარმოქმნილი უკანონო ნაგავსაყრელის ლიკვიდაციაზე
- ქ.ზუგდიდი ჩოქოვანის N36, 38 და 40-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოებისთვის 6 ერთეული ნაგვის ურნების გამოყოფაზე.
- ქ. ზუგდიდი გამსახურდიას გამზ. N9-ში ნაგვის ურნის განთავსებაზე.
- მყარი ნარჩენებით დაბინძურებული ზღვის სანაპირო გაწმენდითი სამუშაოების წარმოებზე.
-შპს ,,პოლივიმის“ პოლიმერული ნარჩენების გადამამუშავებელი ხაზის შექმინის თანამშრომლობის განხილვასთან დაკავშირებით.

-საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის მიერ კონტეინერებისა და ნარჩენების შესაგროვებელი მანქანების შეძენა-გადმოცემის პროცესთან დაკავშირებით, მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებაზე

### *1. ბუნებრივი რესურსები - წიაღისეული*

ა) მომდინარე წლის განმავლობაში, ზუგდიდის მუნიციპლიტეტის მერიაში შესათანხმებლად შემოვიდა, აუქციონზე გასატანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 1 სალიცენზიო ობიექტი.
- ცაიშის მიმდებარე ტერიტორიაზე N1 ჭაბურღილი, თერმული წყლის მოპოვება - თანხმობა.

### *3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა*

*„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“*

-- გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 28 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.

-- დაფუძნდა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაცია გაიარა 23-მა ახალდაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ, მათ შორის დევნილთა დასახლებებში დაფუძნებულმა 11-მა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ.

2022 წლის ბიუჯეტის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“, თანადაფინანსების პრინციპით, მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 19 პროექტიდან - დაფინანსებულია - 14 პროექტი.

- **შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი''**

2022 წელს რადიკალურად შეიცვალა სატრანსპორტო მომსახურება, ყოველდღიურად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემსახურება 38 ავტობუსი. როგორც შიდა საქალაქო, ასევე საგარეუბნეო მარშუტებზე, მოსახლეობას საშუალება აქვს იმგზავრონ კომფორტული ავტობუსებით. მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს დაემატა ავტობუსების სამი მარშრუტი: #32 ზუგდიდი-დარჩელი-დიდინეძის კახათი, #30 ზუგდიდი-ალერტკარი-ქვემო კახათი, #6 ზუგდიდი-ნაწულუკუ-ხუბულავას ქუჩა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსახლეობა გამოთქვამს კმაყოფილებას.

2022 წლის 9 თვეში გადაყვანილია 1866 468 მგზავრი, აღსანიშნავია, რომ ავტობუსები მოსახლეობას ემსახურებიან შეღავათიანი ფასებით:
შშმ-პირი -3768,
სოციალურად დაუცველი -21988,
ვეტერანი -7126,
სტუდენტი- 32074,
სკოლის მოსწავლე- 58833,
სხვა მგზავრი -1742679.

შპს „ ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ -ს ყველა ავტობუსი მუშაობს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. ყოველდღიურად ხდება საგზაო სატრანსპორტო ბარათების გაცემა, ინკასაცია ამონაგები თანხის ბანკში გაგზავნა.

შპს ზუგდიდის მუნისიპალური ტრანსპორტი-ს შემოსავალმა 2022 წლის 9 თვეში შეადგინა 2856615 ლარი. მათ შორის სუბსიდია 1622499 ლარი, საკუთარი შემოსავალი 1234116 ლარი. ხარჯმა შეადგინა 2750899 ლარი.

- **ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი''**

ააიპ ,,სპორტულ დაწესესებულებათა მართვის ცენტრის'' დაზუსტებული ხარჯების გეგმა 2021 წელს 1 ნოემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე შეადგენს 1025,7 ათ. ლარს.

ზუგდიდის სპორტსმენებმა 100-ზე მეტ სხვადასხვა რანგის საერტაშორისო რესპიბლიკურ და ადგილობრივ ჩემპიონატებზე მიიღეს მონაწილეობა, სადაც 150-ზე მეტი სპორტსმენი გახდა სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი, ხოლო მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

<u>მსოფლიოს ჩემპიონატი:</u> I ადგილი - ნთია გადელია. ძალოსნობა. II ადგილი - ნიკოლოზ ესართია, ძალოსნობა; III ადგილი - ბესარიონ ბერულავა. სამბო.

<u>ევროპის ჩემპიონატი:</u> I ადგილი - ნიკოლოზ ესართია, ნათია გადელია. დიმიტრი აბრალავა. ირაკლი ვეკუა. გურამ ვეკუა. ძალოსნობა. I ადგილი - გიორგი ბიგვავა. კრივი. I ადგილი - ლადო გაბისონია. კიკბოსინგი.

ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ: გიორგი ჩხეიძე. თათია ბუკია. ნანა ფიფია. ლექსო ხასაია. თამარ სამელია. გოჩა გორდულავა. ვალიკო ფონიავა. უტა ფონიავა, ლადო გაბისონია. ნიკოლოზ ალშიბაია. იპოლიტე აქუბარდია.

- **შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“**

2022 წელს შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ბიუჯეტი შეადგენს 830000 ლარს.

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის მიერ 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით განხორციელებულ იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ:

- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსარებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის მოვლა-პატრონობა, აღნიშნულის ფარგლებში გაიხარჯა 7990 ლარი;

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად შეძენილ იქნა სამეურნეო საქონელი, ელ. საქონელი, სტადიონის მინდვრის საკრეჭი ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები, აღნიშნულის ფარგლებში გაიხარჯა 10315 ლარი.
- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნების მოფარცხვა-მოწესრიგების სამუშაოები ღირებულწბით 750 ლარი.
- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (დასკვნის) საფუძველზე განხორციელდა ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით. აღნიშნული სამუშაოებისათვის ჯამში გაიხარჯა 12275 ლარი .
- განხორციელდა კომპანიის 2021 წლის საანგარიშო პერიოდზე ფინანსური და მართველობითი ანგარიშგების აუდიტორული მომსახურება, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 4500 ლარი. ასევე განხორციელდა აუდიტორული მომსახურება განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის ერთჯერადი შეკრების საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით 450 ლარის ფარგლებში.
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე საიჯაროდ შერჩეული 32 ლოკაციის სიტუაციური აზომვითი ნახაზის შესყიდვის/მომსახურება ღირებულებით 4800 ლარი.
- შეძენილ იქნა სანიტარულ-ჰიგიენური საქონელი 1415,75 ლარის ფარგლებში.
- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის ბულვარის ელ. განათების ქსელის მოდერნიზების საბოლოო ანგარიშწორება, რომელმაც შეადგინა 144875,33 ლარი.
- ბულვარის თანამშრომლებისთვის შეძენილ იქნა ბრენდირებული მაისურები და კეპები 950 ლარის ღირებულები.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გასახდელებსისა და საშხაპეების სადგამებს, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 54854,79 ლარი

  ზემოთაღნიშნული ხარჯების ჯამი შეადგენს 243175,87 ლარს.

  ასევე, საკუთარი სახსრებით გაწეულ იქნა **135757,76 ლარის** სამუშაოები.

- ა(ა)აიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“

სასახლის აღსაზრდელები განსაკუთრებულ სოლიდარობას გამოხატავენ უკრაინელი მეგობრების მიმართ და მუდმივად ერთვებიან სხვადასხვა აქტივობაში. ამჯერად, მუსიკალურ-თეატრალური სტუდია ''რიბი-რაბო'' შეუერთდა მხარდასაჭერ აქციას და ერთი ლამაზი ვიდეო-რგოლი მიუძღვნა უკრაინის თემას. არტ-შემოქმედებითი ჯგუფის ბავშვებმა უკრაინული სიმბოლოებით ხელნაკეთი ნამუშევრები შექმნეს. მხატვრული სასახლის არტ-შემოქმედებითი ჯგუფის ბავშვებმა უკრაინული სიმბოლოებით ხელნაკეთი ნამუშევრები შექმნეს. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "იგრიკა", უკრაინელ ხალხს სოლიდარობის ნიშნად ქორეოგრაფიული ნომერი მიუძღვნა.

სასახლის მუსიკალურ-თეატრალურმა სტუდია ''რიბი-რაბომ'' მორის მეტერლინკის პიესის საფუძველზე მუსიკალური სპექტაკლი ''ლურჯი ფრინველი'' წარმოადგინა. სასახლის ინტელექტკლუბმა ინტელექტკლუბმა (ხელმძღვანელი: ჯენეტ ქვარცხავა) ინტელექტუალური თამაში ''მოაზროვნე'' ჩაატარა, სადაც გაიმარჯვა სასახლის გუნდმა ''სრა''.

სასახლეში, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ჩარიცხვის მსურველთათვის შესარჩევი ქასთინგი გაიმართა. სიმღერისა და ცეკვის კონკურსში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

სასახლის ჟურნალისტთა კლუბმა ''სარკმელი'', ''PEN-მარათონი სარკმელი 21'' ფარგლებში შექმნილი ნამუშევრებიდან ამოღებული ფრაზების კრებულის ''ჯიბის სპეც სარკმელის'' პრეზენტაცია ჩაატარა. პრეზენტაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხარდაჭერით, პოეტ ზაურ მოლაშხიას ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა.

სასახლეში, აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ,საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ინტელექტ კლუბის წევრებთან გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო, აუტიზმთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლება.

სასახლეში ''მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეები 2022" დაიწყო, რომელიც დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებით ''ძეგლი აგიგე... ანუ ანბანთქება'' გაიხსნა. ღონისძიებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები, ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრი თექის სახელოსნო "იალაღი", მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ინტელექტკლუბი და შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ.

სასახლეში, დრამატული სტუდია ''შთამომავლები'' მაყურებლის წინაშე სპექტაკლის-ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ნაწარმოები “პატარა უფლისწული” პრემიერით წარდგნენ.

სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი ''ყილოშტყებამი'' თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ ფესტივალში ''art&ask'' მონაწილეობდა (სამხატვრო ხელმძღვანელი: გიორგი სურმავა , ქორეოგრაფი: რუსუდან სურმავა).ფესტივალი კაბადოკიის ქალაქ ავანოსში ჩატარდა, სადაც მუნიციპალიტეტის მერმა ანსამბლი დიპლომითა და საჩუქრით დააჯილდოვა.

ფესტივალის არსებობის ისტორიაში, ანსამბლმა „ყილოშტყებამი“ სცენაზე პირველად ქართული დროშა გაშალა.

სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი "მტრედები", ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში გამართულ "ძმები მოსიების" სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალში

სასახლის ვოკალური ანსამბლ ''რეტრო-ს'' წევრმა ნანო ხასაიამ კავკასიის რეგიონში ( WAPA) საერთაშორისო ონლაინ ფესტივალზე ''Stars in New York for peace in Ukraine'' მიიღო

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები ჩაერთვნენ და მაყურებელს მრავალფეროვანი რეპერტუარი შესთავაზეს.

სასახლეში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე გრანდიოზულად აღინიშნა.ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენი ფერადი სამყარო“ სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა, ღონისძიების ფარგლებში ბავშვებმა ასფალტი ცარცებით მოხატეს. სასახლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა ‘’ მაფშალია’’ და ფოლკლორულმა გუნდმა ‘’მახარია ‘’ (ხელმძღვანელები: ქეთევან კილასონია, ნონა მაქაცარია) ფოლკლორული სიმღერების შემოქმედებითი საღამო გამართეს. „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღესთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ინტელექტკლუბის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მაია თოდუამ ლექცია-სემინარი ჩაატარა.

სასახლის თანამედროვე ცეკვების სტუდია “Dance Dynasty” ლიკა კაპანაძის ხელმძღვანელობით ბათუმში გამართულ VI საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე ,,WONDERLAND 2022" მონაწილეობდა. VI საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე სტუდიამ დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვა. სასახლის სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიამ ,,ეზი“ ბათუმში გამართულ ფესტივალზე ,,Ajara open 2022” მიიღო მონაწილეობა, სადაც კონკურსანტებმა საპრიზო ადგილები მიიღეს. სასახლის სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიამ ‘’ეზი’’ მაია და გოჩა კაპანაძეების ხელმძღვანელობით საქართველოს ღია ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონატში სტუდიამ წარმატებით იასპარეზა და ყველა კატეგორიაში საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ახალგაზრდული სათათბიროს ორგანიზებით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა,სადაც თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში გავლილი ტრენინგ-სემინარის შესახებ საკუთარი გამოცდილება ლუკა ჩანგელიამ გაუზიარა.

სასახლის ახალგაზრდული სათათბიროს ორგანიზებით ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში საშობაო-საქველმოქმედო კონცერტი ‘’ერთად უკეთესია’’ გაიმართა.საქველმოქმედო კონცერტიდან- "ერთად უკეთესია" შემოსული თანხით, მოსწავლე ახალაგზრდობის სასახლის ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა, ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცეს და შეძლეს მათი სურვილების ასრულება.

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა - 606 მოქალაქე. მათ შორის 183 წვევამდელის პირადი საქმე გადაიგზავნა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2021 წლის საშემოდგომო და 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევა. ამჟამად მიმდინერეობს 2022 წლის საშემოდგომო გაწვევა. საანგარიშო პერიოდში წვევამდელთა შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში გაგზავნილ იქნა 234 წვევამდელი; მათ შორის 191 წვევამდელმა მუდმივმოქმედი სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე მიიღო გადავადება ჯამრთელობის მდგომარების გამო. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 43 წვევამდელი, არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა 1 წვევამდელი.

გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გადავადების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1045 წვევამდელზე; აქედან სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ 2; გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ 32; სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ 1011; გაწვევისაგან თავის ამრიდებელ 137 წვევამდელზე მასალები გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს და გამოცხადდა 66 წვევამდელი.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 509 რეზერვისტი. მათ შორის სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი 102; ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი 76 რეზერვისტი. 27 წლის ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩაირიცხა 326; რეგისტრაციის ადგილის შეცვლის გამო 5 რეზერვისტი.

ამავე პერიოდში სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 152 რეზერვისტი; მათ შორის გადაყვანილ იქნა შესაბამისი ორგანოს სპეციალურ აღრიცხვაზე 57; გადავიდა სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებლად 37; გარდაიცვალა 58.

გაგზავნილია საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასავლელად 19 რეზერვისტი, აქტიურ რეზერვში ჩაირიცხა 7. სანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა (სამხედრო ბილეთის შემცვლელი) – 108 რეზერვისტზე და წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი 254 წვევამდელზე. სამსახურის მუშაობის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს სსიპ საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია "ბიბლიური თავისუფლება"-ს მიერ წვევამდელებზე გაცემული მოწმობები მღვდელმსახურის წოდების მინიჭების შესახებ (წარმოადგინა 392 წვევამდელმა). 2022 წლის საშემოდგომო გაწვევა გრძელდება 30 დეკემბრამდე.

- **შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური**

## აუდიტორული საქმიანობა

- ✓ 2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის 19 სექტემბრამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილებამ ჩაატარა 5 აუდიტი, მათ შორის 2 - შესაბამისობის და 3 სისტემური აუდიტი;
- ✓ ჩატარებული აუდიტებიდან სულ გაიცა 35 რეკომენდაცია;
- ✓ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 2 ობიექტში;
- ✓ ამჟამად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კეთილმოწყობის მართვის ცენტრის შესაბამისობის აუდიტი.

## ინსპექტირება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ, მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და იურიდიულ პირებში 2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის 19 სექტემბრის პერიოდში:

- ✓ ჩატარდა 105 ინსპექტირება;
- ✓ შედგენილ იქნა 5 ინსპექტირების ოქმი და 7 ინსპექტირების დასკვნა;
- ✓ გაცემულ იქნა რეკომენდაცია კერძო სამართლის იურიდიული პირების 5 მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე;
- ✓ მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 3 დისციპლინური წარმოება, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა დისციპლინური წარმოების დასრულების შესახებ 3 დასკვნა. აღნიშნული დასკვნების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით ორივე მოსამსახურეს შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადებში ხარვეზების/ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი რეაგირების მიზნით, დათვალიერებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული 316 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაგან 82 ობიექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიმართ გაცემულ იქნა 82 მითითება უზრუნველეყოთ აღნიშნული ხარვეზების/ნაკლოვანებების აღმოფხვრა კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ შემსრულებლების მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა 126 ინფრასტრუქტურული პროექტი შემოწმება, რომელთაგან 96 ობიექტზე გამოვლინდა შეუსაბამობა ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლების მიერ მერიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის, შესაბამისად

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულ იქნა 8 მითითება მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ;

- ✓ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების ჩართულობით 2021 წლის 01 ნოემბრიდან 2022 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით შემუშავებულ იქნა კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში კორუფციული რისკების შეფასება. კორუფციული რისკების შეფასების შედეგები დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის 27.12.2021 წლის N№24.242136125 ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრა გამოვლენილი კორუფციული რისკების შესამცირებლად საჭირო ღონისძიებები და შესაბამისი ვადები. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ შემუშავებულ და მუნიციპალიტეტის მერისთვის 2022 წლის 01 სექტემბერს დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა 4 ინსტრუქცია.

ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ტენდენციების ფონზე  უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყველა აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება მოითხოვს მეტი ფინანსური რესურსის არსებობას, ვიდრე დღეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ამის შესაძლებლობები გააჩნია. აქ გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მმართველობის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების კვალობაზე, მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საგრძნობი ზრდის შედეგად, უახლოეს პერსპექტივაში (მომავალი 3-4 წლის პერიოდი) გვექნება საკმაოდ მყარი საბიუჯეტო ბაზა, რაც მოგვცემს ფინანსურ შესაძლებლობას უფრო სრულად და მეტი მოცულობით დაფინანსდეს თვითმმართველი ერთეულის ინფრასტრუქტურული განვითარების და სოციალურ-კულტურული დანიშნულების პროგრამებისა და პროექტების რეალური საჭიროებები.